## 21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფულიერებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 მარტი, 2015 წელი.

№44 (7689)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


### საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება ერთად მოუწევთ

4

### ნანა ჩაჩუა: ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას სასოწარკვეთის განცდა გაუნელოს!

### მტერი კაცსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს!

### საყდრისის მაღაროს როლი ქართული სახელმწიფოს წარსულის გარკვევის საქმეში!

3



**ია მეტრეველი:** ჩემი შვილის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ეკისრება.

9

### თამაზ ვაშაყმაძე - „ხელთუქმნელი ძეგლის“ ავტორი



5

## ამერიკაში დაღუპულ კურსანტებს რამდენიმე დღეში სამშობლოში ჩამოასვენებენ

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაღუპული ქართველი კურსანტების ოჯახებს მიუსამძიმრა.** როგორც თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ეს არის უდიდესი დანაკლისი მთელი საქართველოსთვის.

**„მათი შემართება, პროფესიონალიზმი ნამდვილად დააკლდა ჩვენს ქვეყანას. საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით მინდა ვთქვა, რომ პირველივე წუთიდან ჩვენი საკონსულო სამსახური ადგილზე ჩართული იყო და ყველა საჭირო პროცედურაში მონაწილეობს, რათა გადმოსვენება დროულად მოხერხდეს“,** — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-ჯერსის შტატში ავტოავარიას ქართველი კურსანტები — სოსო მაკარიძე და ბესარიონ გორჯოლაძე ემსხვერპლნენ. ავარია შაბათს, გამთენიისას მოხდა. ავტოავარიის შედეგად ერთი ქართველი კურსანტი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი — ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ.

ავტომანქანას, რომელშიც ქართველი კურსანტები ისხდნენ, არსებული ინფორმაციით, აშშ-ის მოქალაქე მართავდა. იგი ჰოსპიტალშია მოთავსებული.





6

### იაფი საწვავის „ბალიში“ იფუშება?!

◉ რეპლიკა ასავალ-დასავლელებს

## კოლეგიალობა რატომ იგულმავიწყეთ, ძვირფასო კოლეგებო?!.

ჩვენ იქნებ არც არაფერი არ გვეთქვა, ხმაც არ ამოგვეღო, არც ეს რეპლიკა გამოგვექვეყნებინა, თვითონ აღშფოთებულ ბატონ **მერაბ ბერძენიშვილს** რომ არ დაერეკა ჩვენს რედაქციაში იმ თავისი ფრიად საყურადღებო წერილის გამო, რომელიც გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** 3 მარტის ნომერში დაიბეჭდა ავტორის სურათთან ერთად რუბრიკით — **„მეციხოვნე-მამულიშვილის სიტყვა“** და სათაურით — **„თუ გაგყიდეს, „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!“**. წერილს მთელი ჩვენი გაზეთის მესამე გვერდი აქვს დათმობილი და სათაური ავტორის სურათით პირველ გვერდზეა გატანილი.




ჩვენდა მოულოდნელად და ჩვენთან შეუთანხმებლად გაზეთმა „ასავალ- დასავალმა“ თავის ბოლო ნომერში (9-15მარტი) ისევ მესამე გვერდზე გამოაქვეყნა ბატონ ბერძენიშვილის აღნიშნული წერილი ოღონდ უკვე სათაურშეცვლილი და ახალი რედაქციით (როგორც ჩანს, პუბლიკაციის მისაკუთრების მიზნით) და წყაროს მიუთითებლად, რამაც როგორც ავტორის, ისე ჩვენი რედაქციის დიდი გაკვირვება გამოიწვია, რადგან „ასავალ-დასავალი“ მუდამ სხვებს უკიჟინებს მსგავსი არაკოლეგიალობისა და უსამართლობის გამო.

**ჩვენი აზრით, ეს შემთხვევა გარდა არაკოლეგიალობისა, ცოტა არ იყოს, ერთგვარი „ჟურნალისტური ხელმრუდობაც არის“, რაც ნამდვილად არ ეკადრებათ ჩვენს ასავალ-დასავლელ სიმართლისა და სამართლიანობისთვის ხმალამოღებულ კოლეგებს.**

პატივისცემით

**საქართველოსრესპუბლიკელები**

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## პრეზიდენტი გენერალ გარი ჯონსონს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მრჩეველს საგარეო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სფეროში გენერალ გარი ჯონსონს შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა საქართველოს და დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობებზე ისაუბრეს და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზეც იმსჯელეს.**

გიორგი მარგველაშვილმა და სერ გარი ჯონსონმა რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო მიმოიხილეს და ყურადღება უკრაინაში მიმდინარე პროცესებსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე გაამახვილეს.

## რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებს შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, რუსეთის მიერ საოკუპაციო რეჟიმებთან ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ არის მიმართული.**

ამის შესახებ თამარ ბერუჩაშვილმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ეუთოს გენერალურ მდივან ლამბერტო ზანიერისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„რეგიონსა და საქართველოში, დღევანდელი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევების ფონზე, ეუთოს აქტიურობის, მისი ყველა მექანიზმის გამოყენებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ჩვენთვის.

შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გავლების პროცესზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რუსეთს მიერ საოკუპაციო რეჟიმებთან გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებების ხელმოწერას. მე კიდევ ერთხელ აღვნიშნე, რომ რუსეთის ეს ქმედება სრულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და პრინციპებს. საქართველოს ოკუპირებული რეგიონები საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს არ წარმოადგენენ. შესაბამისად, ნებისმიერი მცდელობა, დაიდოს მათთან რაიმე ხელშეკრულება, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას და ამას არ გააჩნია იურიდიული ძალა. ეს მიდგომა გაზიარებულია ჩვენი პარტნიორების მხრიდან“, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

მისივე თქმით, ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმება მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ და წარმოადგენს ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

„ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის, ეუთოს, შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მისცენ რუსეთის ამ დესტრუქციულ ქმედებებს და სათანადო ზეწოლა განახორციელონ რუსეთზე“, — აღნიშნა ბერუჩაშვილმა.



## ელექტრომობილები იაპონიიდან

**იაპონიის მთავრობა საქართველოს 500 000 000 იაპონური იენის (დაახლოებითი 4,2 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობით არასაპროექტო საგრანტო დახმარებას გაუწევს. ურთიერთგაცვლით ნოტებსა და შესაბამის დოკუმენტაციას ხელს დღეს მოაწერენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი და საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური.**

აღნიშნული არასაპროექტო საგრანტო დახმარება გამიზნულია ახალი თაობის ეკო-მეგობრული ავტომობილების შესაძენად, მაგალითად, ჰიბრიდული ავტომობილი (HV), დასატენი ჰიბრიდული ელექტრომობილი (PHEV), ელექტრომობილი (EV) და სუფთა დიზელზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალება (CD). საგრანტო დახმარების განხორციელებას საქართველოს ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა შეიწყოს ხელი.

იაპონიამ, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში (ODA) სხვადასხვა მიმართულების პროექტები საგრანტო დახმარების, ტექნიკური თანამშრომლობისა და ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) სესხის სახით განახორციელა.

## სამხედრო პოლიციაში რეორგანიზაცია მიმდინარეობს

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე ადასტურებს, რომ სამხედრო პოლიციაში რეორგანიზაცია მიმდინარეობს, თუმცა, ასეულობით თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას მინისტრის ჭორს უწოდებს.**

„ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ. ეს არის ჭორი. სამხედრო პოლიციაში მიმდინარეობს რეორგანიზაციის და რეფორმირების პროცესი. სამხედრო პოლიციის სისტემა და სტრუქტურა იქნება აბსოლუტურად თავსებადი ნატოს მოთხოვნებთან. ყველა თანამშრომელს მიეცემა შანსი, რომ ახალი სტრუქტურის ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა“, — განაცხადა მინდია ჯანელიძემ.

◎ დედაქალაქი

## თბილისში გარე განათების ბოძების შეცვლა იგეგმება

**თბილისის მერია გარე განათების ბოძების შეცვლას გეგმავს, რომლებიც დედაქალაქის უბნებთან იქნება შეხამებული, — ამის შესახებ BPN-ს შპს „სინათლის ქალაქის“ ხელმძღვანელმა ვასილ ხორავამ განუცხადა.**

**როგორც ხორავამ აღნიშნა, დედაქალაქის მერიაში ეს საკითხი უკვე განიხილება, მაგრამ არა 2015 წლისთვის, რადგან ამ დროისთვის თბილისის ბიუჯეტში ასეთი გამოთავისუფლებული თანხა არ არის, „მაგრამ აუცილებლად განხორციელდება“.**

**„არის ისტორიული უბნები, ასევე გათანამედროვებული უბნები, რომლებისთვისაც უნდა მოხდეს ბოძების შერჩევა. ბევრგან შეიძლება დაყენდეს დეკორაციულად ლამაზი ბოძები, ასევე დაძველებული, ისტორიის შემქმნელი, ძველ თბილისთან შეხამებული და ა.შ. ამ შემთხვევაში ის ფორმულა, რომელიც LED სანათების შემთხვევაშია, არ მუშაობს, მაგრამ დედაქალაქის მერია მუშაობს, რომ არა წელს, არამედ მომავალი წლიდან აქტიურ ფაზაში შეიყვანოს პროექტი, რომელსაც არსებული ბოძების შეცვლა ჰქვია“, — აცხადებს ხორავა. მისივე თქმით, არსებული ბოძები ჩვენს დედაქალაქს ძალიან აუშნოებს.**



◎ ინფორმაცია

## გარდაიცვალა მსახიობი ოთარ კობერიძე

**მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი ოთარ კობერიძე 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მსახიობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და განცხადებას ავრცელებს.**

**ქართველი მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი ოთარ კობერიძე დაიბადა 1924 წლის 17 დეკემბერს. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ჯერ სოხუმის დრამატული თეატრის, ხოლო შემდეგ მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის მსახიობად მუშაობდა.**

**საქართველოს სახალხო არტისტი 1956 წლიდან კინოსტუდია „ქართულ ფილმის“ მსახიობი და რეჟისორია. შესრულებული აქვს 50-ზე მეტი როლი. როგორც რეჟისორს, გადაღებული აქვს ათამდე ფილმი, სამი ფილმისთვის კი სცენარი თავად დაწერა.**



**„ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „ქალის ტვირთი“, „სხვისი შვილები“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „გენერალი და ზიზილები“, „ზღვის შვილები“, „დათა თუთაშხია“, ანთიმოზ ივერიელი“, „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, „პატარა უფლისწული“ — ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომელშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო.**

**სხვადასხვა წლებში ოთარ კობერიძეს მიღებული აქვს პრიზები და წოდებები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, საქართველოს სახალხო არტისტის, აფხაზეთის სახალხო არტისტის წოდება... 2002 წელს გახდა მემედ აბაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი“.**

**მსახიობს 12 მარტს დაკრძალავენ, გამოსვენება 12 მარტს დიდუბის ეკლესიიდან მოხდება.**

◎ იმედი — უიმედობა...

# როგორი შეფასებები შეიძლება, მიიღოს საქართველომ რიგის სამიტზე

**ბოლო დროს მიმდინარეობს აზრთა ინტენსიური გაცვლა და ხშირ შემთხვევაში სპეკულირებები იმის თაობაზე, მიიღებს თუ არა რიგის სამიტზე საქართველო სავიზო ლიბერალიზაციის პოზიტიურ გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება შეიძლება, იყოს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის. იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილებას იღებს ევროპული საბჭო ევროკომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. თუმცა, რიგის მაისის სამიტის გადაწყვეტილება, მიუხედავად მისი სარეკომენდაციო ხასიათისა, იქნება მნიშვნელოვანი, თუმცა — ნაკლებმოსალოდნელი. ევროპული საბჭოს სხდომა კი გაიმართება ივნისის ბოლოს. იმისათვის, რომ საქართველომ მიიღოს სავიზო ლიბერალიზაცია შენგენის ზონასთან, საჭიროა: ა) დადებითი ტექნიკური შეფასება ევროკომისიის მიერ და რეკომენდაცია ევროპული საბჭოსადმი და ბ) პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროპული საბჭოს მიერ, რომელშიც გადაწყვეტილებას იღებენ წევრი ქვეყნების წარმომადგენლები და არა ევროკომისიის ჩინოვნიკები.**

დადებითი ტექნიკური შეფასების გარეშე დადებითი პოლიტიკური გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, ხოლო უარყოფითი პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება, დადებითი ტექნიკური შეფასების მიუხედავად მიიღონ. ორივე მათგანს აქვს თავისი განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებსაც ქვემოთ მოკლედ განვიხილავ:

ა) სავიზო ლიბერალიზაციის ტექნიკური მხარის შეფასება დამოკიდებულია ევროკომისიის მიერ დაწესებული კრიტერიუმების შესრულებაზე საქართველოს მხრიდან. ეს კრიტერიუმები იყოფა 4 ბლოკად და ამ მომენტისთვის მათი შეფასება შემდეგნაირია: 1. დოკუმენტების დაცულობა ბიომეტრული მახასიათებლების ჩათვლით — ამ ნაწილში ჩვენ ამ ეტაპზე ვფასდებით უმაღლესი 10 ქულით; 2. მიგრაციის მართვა, რეადმისიის ჩათვლით (აქ იგულისხმება საზღვრის მართვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფრის მართვა) — 8.3 ქულა; 3. საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი (ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა) — 7.7 ქულა; 4. ადამიანის უფლებების დაცვა (ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება, სამოქალაქო და უმცირესობათა უფლებები) — 6.8 ქულა, საერთო მაჩვენებლით 32.8 ქულა. ამ მაჩვენებლებით მცირედით ჩამოვრჩებით მოლდოვას (37.2 ქულა, მოლდოვის მიერ სავიზო ლიბერალიზაციის 2014 წლის აპრილში მიღების მომენტისთვის) და თითქმის თანაბრად ვართ უკრაინასთან 32.2 ქულა. გამომდინარე აქედან, ამ ეტაპისთვის არსებული შეფასებიდან დადებითი ტექნიკური შეფასების მიღების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ამ შეფასების მიღება მთლიანად დამოკიდებულია მთავრობის მიერ კრიტერიუმების შესრულებაზე, ანუ, თუ დადებითი ტექნიკური შეფასება არ გააკეთა ევროკომისიამ ამ ნაწილში პასუხისმგებლობა იქნება საქართველოს მთავრობის.

ბ) პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება უმეტესად დამოკიდებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნება-სურვილზე. ასევე, ეს გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა სახეს მიიღებს სამეზობლო პოლიტიკის რეფორმირების დოკუმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა იყოს მზად ივნისის ბოლომდე. თუ ევროკავშირი ჩამოყალიბდა ამ რეფორმირებაზე 25-26 ივნისის ევროპული საბჭოს სხდომამდე, მაშინ მოსალოდნელია, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ამ დროისთვის, რაც ნაკლებ სავარაუდოა გამომდინარე მოგერინის განცხადებებიდან. თუ არადა, პროცესი გადაიწევს წლის ბოლომდე პროცედურულად. შეფერხება შეიძლება, ასევე გამოიწვიოს იმ ფაქტორმაც, რომ, თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ იქნა უკრაინის მიმართ მიღებული (და ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია იქ მიმდინარე პროცესების და მომეტებული მიგრაციული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით), საქართველოზე გადაწყვეტილებაც შესაძლებელია შეფერხდეს. ამ ნაწილში საქართველოს მთავრობის მონაწილეობა და ვალდებულება მდგომარეობს წევრ ქვეყნებთან ინდივიდუალურ (ორმხრივ) ინტენსიურ დიალოგში, რათა მოხდეს ამ ქვეყნების დარწმუნება, რომ სავიზო ლიბერალიზაცია იქნება ევროკავშირის მხრიდან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინვესტიცია საქართველოს საზოგადოებაში, უაღრესად შეუწყობს ხელს საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოების პროცესს, შეამცირებს რუსული პროპაგანდის გავლენებს და ა.შ. ტექნიკური არგუმენტი ასევე შეიძლება, იყოს ისიც, რომ ვინაიდან სამეზობლო პოლიტიკაში ძლიერდება ინდივიდუალური მიდგომის ელემენტი, არ იქნებოდა სწორი, საქართველოს სავიზო ლიბერალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღება განიხილებოდეს უკრაინასთან ერთობლიობაში.

**ლევან ბოძაშვილი,**
**ევროკავშირის საკითხთა ექსპერტი, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე**

ტელეუტიფრობანი პრესკომენტარებით

# ნაც(იონალ)ური სევდ(ი)ა



**„თბილისის ამშენებელი თქვენ ციხეში ჩასვით... დიახ, თბილისი ააშენა გიგი უგულავამ." — აცხადებს სევდია უგრეხელიძე.**

ქალბატონო სევდია, დადექით ქაშუეთის ტაძართან და მთაწმინდის დანახვა სცადეთ.

ვერ დაინახავთ.

პირველი სკოლა (კლასიკური გიმნაზია, სადაც ტატო და ილია სწავლობდნენ!) ხომ უკიდურესად დამცირებული და „თავში ჩარტყმულია" ტორტივით მორთული უზარმაზარი შენობით, მთაწმინდა საერთოდ დამალულია.

ქალბატონო სევდია, დადექით სიონთან და რიყეს გახედეთ. შეუძლებელია, იქ დაყრილმა უმძიმესმა „დოქებმა" თქვენც არ შეგზაროთ!

ასე გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება.

ქალბატონო სევდია, უკვე ორჯერ გთხოვეთ ტაძართან დადგომა, მინდოდა, იქ შესვლა და სანთლის დანთებაც მეთხოვა, მაგრამ გადავიფიქრე. იცით, რატომ? სწორედ გუშინ ჩემს მეოთხეკლასელ თეკლას გაკვეთილად ილიას „მოძღვარი" ჰქონდა. გაგახსენებთ, რას ეხება: მოძღვარი აფრთხილებს მოშუღარ ძმებს, თუ ერთმანეთს კვლავაც ვერ შეეწყობით, ეკლესიაში აღარ შემოგვიშვებთო.

თქვენს მაგივრად შემეშინდა...

და კიდევ: ნუ უმძიმებთ თქვენს სათაყვანებელ უგულავას დანაშაულს. თბილისის „აშენებას" სააკაშვილი იბრალებს და რატომ გინდათ, ეს უმძიმესი ცოდვაც გიგის აჰკიდოთ?!

თავისი არ ეყოფა?!

# ჯაჯანიძე და ორი შალვა



**არჩილ ჭყოიძე** (**იმედია,** სახელ-გვარი არ მეშლება) **ჯაჯანიძის** „სხვა რაკურსს" აკრიტიკებს, ამავე გადაცემის პროდიუსერი **მაია სტეფნაძე** კი კბილებით იცავს და ეუბნება, შენი ზნეობის კაცს ამის უფლება არა აქვსო. გავოცდი, ისეთი რა ზნეობა აქვს ამ კაცს, ჯაჯანიძეს რომ აჭარბებს-მეთქი. თურმე(სტეფნაძის აზრით), რუსეთუმე ყოფილა. რუსეთუმეობა, რა თქმა უნდა, დასაძრახია, მაგრამ იმ უზნეობასთან, რასაც ჯაჯანიძის გადაცემაში ვხედავთ, რა მოსატანია?!

ყველაზე საინტერესო მაინც **შალვა რამიშვილის** ჩარევა იყო. მან ჭყოიძეს ასეთი კითხვა დაუსვა: **„მე რომ ჯაჯანიძის გადაცემას ვნახავ, რა მომივა?**



ჭყოიძე დაიბნა და ვერ უპასუხა. არადა, პასუხი ადვილად მოსაძებნი იყო. მხოლოდ ეს უნდა ეთქვა: **„შენ? — უკვე აღარაფერი."**

სხვათა შორის, გუშინწინდელ „იმედის კვირაში" **შალვა ნათელაშვილმა** შალვა რამიშვილს ასე მიმართა: **„ჯერ შენ უანგაროდ არაფერი გაგიკეთებია."**

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ეს ორი შალვა, ამ მხრივ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს...

# ელისოს „სიბრძნე"

**საწყალი თეიმურაზ მეტრეველი,** რა საბუთიანობით გვარწმუნებდა, რომ ამ ქალბატონმა წერა-კითხვა ხეირიანად არ იცოდა.

ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ამ მონაცემების ჟურნალისტი სწორედ ნაც(იონალ)ების მოშორების შემდეგ აღზევდებოდა.



და რა სიკეთე მოუტანა მისმა აღზევებამ „ქართულ ოცნებასა" და, რაც მთავარია, ქართულ სახელმწიფოს?

სრულიად არავითარი.

უფრო პირიქით:

მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, უნივერსიტეტი კვლავაც ნაც(იონალ)ების ხელში რომ დატოვა...

და მორიგი „სიბრძნე", ქალბატონმა **ელისო ჩაფიძემ** ამ დღეებში ტელეეკრანიდან რომ გადმოგვაფრქვია.

წამყვანი ეკითხება, „ქართულ ოცნებას", წინასაარჩევნოდ, ბევრი დაპირება ჰქონდა და რატომ ვერ შეასრულაო.

პასუხი გამაოგნებელი იყო — მერე რა მოხდა, ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში არ ყოფილა ხელისუფლება, წინასაარჩევნო დაპირებები რომ შეესრულებინოსო. ეს ჩვეულებრივი ამბავიაო.

ხელისუფლების წარმომადგენელი რომ ამას იტყვის, ის ან „ჭკვიანი მტერი არის, ან უგნური მოყვარე."

ჭკუა გამორიცხული რომ არ იყოს, იქნებ დაგვეჯერებინა კიდეც გუშინ ფეისბუქში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარლამენტარის მეუღლე ყოფილი ნაც(იონალ)ია.

არა გვგონია, არა გვგონია...

**იოსებ ჭუმბურიძე**

მათქმევინეთ!

# მტერი კაცსა ვერას ავნებს, ოდენ კაცი თავსა ივნებს!

**საყდრისის მაღაროს როლი ქართული სახელმწიფოს წარსულის გარკვევის საქმეში!**

**ოქროს საწმისის ლეგენდა, ტროას ისტორიის კვლევები, გია კვაშილავას ფესტოს დისკოს წაკითხვა ძველი მეგრულით, მიხეილ ქურდიანის ლექცია-კვლევები ბასკური და ქართული ენის მსგავსებაზე, ზვიად გამსახურდიას მიერ ძველი ქართველური ტომების მედიტერანეული რასის კონტექსში განხილვა და ა.შ. ეს ის თემებია, რომლებზეც თანამედროვე დასავლური მეცნიერება აქტიურად მუშაობს.**

იმედია, რომ ახლო მომავალში დასრულდება ქართულ-კავკასიური და ბასკი ხალხის რეალური ადგილის და როლის გაცნობიერება ამ სამყაროში.

საყდრისის მაღაროც უცილობლად, ერთ-ერთ მთავარი საკვანძო მოვლენა იქნება ამ კვლევაში, საჭიროა, აქცენტი გაკეთდეს ამ ობიექტის მოვლა-შენარჩუნებაზე და აღიკვეთოს ოქროს მოპოვების საბაბით, მტკიცებულების (შეუგნებლად, ან შესაძლოა, — შეგნებულადაც) განადგურება!!!

არაა სრულყოფილი და არც ჭრის ხმაურის ატეხვა მხოლოდ, როგორც ძველ ტურისტულ ობიექტზე, მიმდებარედ სასტუმრო-რესტორნების მოწყობაზე, ხალხის დასაქმების პერსპექტივაზე, გარემოს დაბინძურებაზე და ა.შ.

მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ რა კომუნიკაციები ჰქონდა ოქროს რეწვის ბიზნესს ინდოევროპელებამდე არსებულ სამყაროში და იმდროინდელი ქართული სახელწიფოს რა როლი ეკისრებოდა.

ვინმე ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ ამ საკითხის კვლევის ბოლომდე მიყვანა წარსულში უსარგებლო ქექვაა და ქვეყნის დღევანდელობაზე და მომავალზე გავლენას არ იქონიებს?

ამ ეტაპზე, არავინ არ შეიძლება იცოდეს, რა დააინტერესებს ხვალ სხვადასხვა კონკრეტული მიმართულების მკვლევარს, მაღაროს შიგა თუ გარე პერიმეტრზე. კი ბატონო, შეიძლება მარტო მაღაროს კოორდინატიც საკმარისი აღმოჩნდეს, მაგრამ რა ვიცით წინდაწინ, რომ ვანგრევთ და თურმე არტეფაქტებს შევინახავთ საგულდაგულოდ მუზეუმში.

შეიძლება, ტროას ნანგრევებში ან სხვაგან აღმოჩნდეს რაღაც, მაგალითად კომუნიკაციური დატვირთვის, თუ რომელ ცენტრებში ხდებოდა ოქროს პირველადი ნედლეულის მოპოვება, სად იგზავნებოდა ეს ნედლეული საბოლოო პროდუქციის წარმოების და შემდეგ კომერციალიზაციის მიზნით, რამაც შეიძლება შემდეგში მოითხოვოს საყდრისის, ან უახლოესი სხვა ჯერ კიდევ უცნობი მაღაროს საფუძვლიანი შესწავლა და ა. შ.

**ოქროს საწმისის ლეგენდაშიც ხომ მოთხრობილია ინდოევროპელების (ბერძნების) გვიანდელი კომუნიკაცია პელაზგების კვალზე - კოლხეთიდან, ანუ საქართველოდან ოქროს პირველადი პროდუქციის გატანაზე. რა კომუნიკაციური ძველი კავშირების გამოძახილი იყო ეს მოვლენა, ძველი პელაზგების, ტროელების თუ ეტრუსკების სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობაში? პელაზგების რა კავშირების აღდგენას ცდილობდნენ მათი მემკვიდრე ბერძნები კოლხეთთან ამით?**

**სავარაუდოდ, არც მაშინ ვიყავით ალბათ, იმ სამყაროს ჭიპი, არამედ ვიყავით პერიფერიული ნედლეულის მიმწოდებელი სახელმწიფო იმ დროინდელი ცენტრალური ქვეყნებისთვის - პელაზგია, ქართაგენი, ეგვიპტე, ეტრურია...**

განვიხილოთ, თუ რა შესაძლო სცენარი უნდა განვითარებულიყო დაახლოებით 4000-3500 წლის წინათ დაწყებული და რომაელების მიერ კართაგენის განადგურებით დამთავრებული, დაახლოებით 2000 წლის წინათ.

პრეინდოევროპული ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციაში მოხდა ამჟამინდელი გაბატონებული რასის, ინდოევროპელების (ბერძნების, ლათინების, კელტების, სომხების, სპარსელების...), შემოჭრა რუსეთის და ცენტრალური აზიის სტეპებიდან. სავარაუდოდ, შეტევა მიდიოდა ძირითადად, ბალკანეთზე და აპენინებზე, ხოლო მეორე ნაკადი — ცენტრალური აზია-სპარსეთი-შუამდინარეთი-კავკასია-მცირე აზიის მიმართულებით. ამიტომაც, ამ ცივილიზაციის გულში მცხოვრები ეტრუსკები იტალიაში, პელაზგები საბერძნეთში, ბასკების დიდი ნაწილი ესპანეთში, ძველი ეგვიპტელები და კართაგენელები ჩრდილო აფრიკაში, კოლხ-ქართ-ჭან-ლაზების დიდი ნაწილი მცირე აზიაში, მესხების ნაწილი სომხეთში, ბაბილონ-შუმერები მესოპოტამიაში და ა.შ. განადგურდნენ და ასიმილირება განიცადეს თავისი კულტურით ინდოევროპელებთან და რაც ყველაზე სავალალოა, დაიკარგა მათი ენები. სამაგიეროდ, გადარჩა მათი მონათესავე მსგავსი ერები და მათი ენები, ძირითადად ქართულ-კავკასიური და ბასკური, იმის გამო, რომ ცხოვრობდნენ პერიფერიებში და მიუვალ მთებში, მაგალითად სვანეთში, ან სულაც გაიხიზნენ იქ ოჯახებით... გაუმართლათ, ან იყვნენ მაგარი მებრძოლები... ზუსტად არავინ იცის. ფაქტია, რომ გადარჩნენ.

იხ. 6 გვ.

კაკალ გულში

**წეხცილოვანი თეხაზები**

● **კესარია პარლამენტში ქალების კვოტით შევა, თუ კაცების?**

● **რა კაი დრო იყო, გუბაზა ჩუმად რო იყო და ეძინა. არ დაგვიხეთქა გულები?! (ეტყობა ან ცუდი სიზმარი ნახა, ან მარცხენა ფეხზე ადგა. წყალს მოუყევი გუბაზ, წყალს!!!)**

● **უზმოზე რო ამას წაიკითხავ რა დღე უნდა გქონდეს?**

**„სარკის" ჟურნალისტი ეკითხება კაკულიას —**

**პირველად როდის მიხვდით რომ წინასწარმეტყველების ნიჭი გქონდათ?**

**ლელა კაკულიას პასუხი —**

**ბავშვობიდან თავისებური ვიყავი, დახუჭობანას რომ ვთამაშობდით, ვიცოდი, ვინ სად იმალებოდა.**

● **აი, აი, აიიიიი სინაგლის პიკი რა! კიკალიშვილი 26 მაისს მოკლულ და მერე მაღაზიის თავზე შემოწყობილ, „დენით გარდაცვლილებზე" აკეთებს სიუჟეტს, კვესიტაძე ჟვანიას საქმეზე და საყდრისზე და ავოიეეეე. ერთი არქეოლოგიური კითხვა მინდა დაგისვათ, პასუხს არ ველოდები, როგორც ჩანს - გაქვთ! სინაგლეც არის და სინაგლეც, გეყოფათ რა, ბლინ!**

● **ნაციონალები ახალ ეტაპზე გადავიდნენ — ემიგრანტებით სპეკულირებაზე.**

P. S,-ში კიკალიშვილი ქართველ ემიგრანტებზე გვიამბობს, სევდანარევი და დამცინავი მიმიკით. 2012 წლის ოქტომბრიდან როგორ გარბის გაუბედურებული ხალხი საზღვარგარეთ, როგორ ენატრებათ ოჯახები, ნაციონალები და ძველი დრო, როცა საქართველო ყვაოდა (2003-2012). ბებიათქვენისამ 2012 წლამდე ხო სუ ბერძენი ქალები უვლიდნენ ქართველ მოხუცებს აიი.

● **იმქვეყნად, გაღმა,** NATO არსებობს?

ამერიკაში კი არა, მთლად იმქვეყნად.

● **სმა-ჭამა, — გვითხრა პოეტმა,**

**დიდად შესარგი რამ არი,**

**არ დაუჯერა ნოდარიმ,**

**შემოიჭირა ქამარი...**

● **„რუსთავი-2"-მა წარმოგვიდგინა: უკვე ტრადიციად ქცეული რომან გოცირიძეო.**

**მავნე, დრომოჭმული ტრადიციაო, გაიფიქრა ჩემმა კატამ, რომელიც იქვე იჯდა.**

**ამოკრიბა**

**გია გაბრიჭიძემ**

**რას უნდა ველოდოთ?**

# საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება ერთად მოუწევთ

**სად გაჩერდება დოლარის კურსი? გაიზრდება თუ არა სამომხმარებლო ფასები? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური კრიზისი. ეს ის კითხვებია, რომლებიც ყველა ჩვენგანს აწუხებს. ჩვენ ვესაუბრეთ ეკონომისტ გოჩა ხუჭუას და შევეცდებით ანალიზი გავაკეთოთ, თუ რა გავლენას ახდენს საგარეო ფაქტორები ლარის კურსზე, რა ხდება მეზობელ ქვეყნებში და რას უნდა ველოდოთ გრძელვადიან პერსპექტივაში...**

**გ. ხ.** — ამისათვის საჭიროა შევარჩიოთ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნები, დავუკვირდეთ მათი ეროვნული ვალუტების ქცევას და გავავლოთ პარალელები ქართულ ლართან მიმართებაში. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის უარყოფითმა ბალანსმა 2014 წელს 5735,07 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (ექსპორტი — 2861.19 მლნ აშშ$, იმპორტი — 8596.26 მლნ აშშ$). უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: აზერბაიჯანი 19 პროცენტი, სომხეთი 10 პროცენტი, რუსეთი 10 პროცენტი, თურქეთი 8 პროცენტი, აშშ 7 პროცენტი, ბულგარეთი 6 პროცენტი, უკრაინა 5 პროცენტი, ჩინეთი 3 პროცენტი, ყაზახეთი 3 პროცენტი, იტალია 3 პროცენტი, სხვა დანარჩენი 26 პროცენტი.

**— როგორც ვხედავთ, დიდი წილი მეზობელ აზერბაიჯანზე მოდის...**

— საქართველოდან ექსპორტში ლიდერობს აზერბაიჯანი, რომელიც მე-2 და მე-3 ადგილებზე მყოფ სომხეთს და რუსეთს თითქმის 2-ჯერ უსწრებს. მნიშვნელოვნად განსხვავდება იმპორტიორი ქვეყნების ათეული, რომელშიც უკვე წლებია, დამაჯერებლად ლიდერობს თურქეთი. საქართველოში იმპორტი 2014 წელს ასეთი იყო: თურქეთი 20 პროცენტი, ჩინეთი 9 პროცენტი, აზერბაიჯანი 7 პროცენტი, რუსეთი 7 პროცენტი, უკრაინა 6 პროცენტი, გერმანია 5 პროცენტი, იაპონია 4 პროცენტი, რუმინეთი 4 პროცენტი, აშშ 3 პროცენტი, იტალია 3 პროცენტი, სხვა დანარჩენი 32 პროცენტი. ჩვენ ანალიზისთვის გამოვარჩიეთ 12 უმსხვილესი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყანა, რომელთა ეკონომიკები ზეგავლენას ახდენს ლარის კურსზე. მე მინდა, გიჩვენოთ ცხრილი. მოცემულ ცხრილში ასახულია ამ ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები თანხობრივ და პროცენტული ჭრილში.

საინტერესოა, რა ხდება ამ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის გაუფასურების კუთხით დოლართან მიმართებაში. თუ საანგარიშო პერიოდად ავიღებთ ბოლო 2 წელს, აღმოჩნდება, რომ თურქული ლირა 2012 წლის იანვრიდან დღემდე 44,8%-ით გაუფასურდა, ხოლო უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში დაახლოებით 20%-ით. მართალია, ჩინური იუანი დღეს მსოფლიოში ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ფულის ერთეული, თუმცა, დოლარის გამყარების ტენდენცია ბოლო პერიოდში მასზეც აისახა და 4,6%-ით გაუფასურდა. აზერბაიჯანში გატარებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად მანათი მიმდინარე წლის თებერვლის თვეში 33%-ით გაუფასურდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ხელოვნურად იჭერდა ეროვნული ვალუტის კურსს და როცა გადაწყვიტა აღარ ჩარეულიყო, მანათმა ერთ დღეში 31%-ით „ისკუპა“. ამჟამად, აზერბაიჯანის მიერ კურსი კვლავ კონტროლდება, რათა არ მოხდეს სავალუტო მანიპულაციები.



**— საინტერესოა რუსეთის ან უკრაინის ეროვნული ვალუტების ბედი.**

— რუსეთის და უკრაინის მაჩვენებლები კატასტროფულია. ეს ქვეყნები საქართველოსათვის თანაბარმნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. რუსეთში რუბლი აშშ დოლართან მიმართებაში 2012 წლიდან 144,4%-ით გაუფასურდა, ხოლო უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში ვარდნამ 85% შეადგინა. რაც შეხება უკრაინულ გრივნას, იგი დოლართან მიმართებაში 2012 წლის იანვრიდან დღემდე 4.2-ჯერ, ხოლო ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე 2.8-ჯერ გაუფასურდა.

**— ევროზონიდან საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნების რეიტინგში იტალია და გერმანიაც მოხვდნენ.**

— როგორც ვხედავთ, ევრო 2014 წლის მაისიდან 25%-ით გაუფასურდა.

იაპონური იენი 2 წლის განმავლობაში დოლართან მიმართებაში 62,5%-ით გაუფასურდა, ხოლო უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 15%-ით. მსგავსებას აღმოვაჩენთ რუმინული და ბულგარული ეროვნული ვალუტების კურსების რყევაში. ეს ადასტურებს იმ ფაქტს, თუ როგორი გავლენა აქვს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას ერთმანეთზე. სომხური დრამი 2012 წლიდან გარკვეულწილად სტაბილურობით გამოირჩეოდა, თუმცა, უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში 17 %-იან გაუფასურებას მაინც ვერ ასცდა.

**— ამ ფონზე, როგორ გამოიყურება ქართული ლარი?**

— თუ კარგად დავუკვირდებით აღმოვაჩენთ მსგავსებას რუსულ რუბლთან, უკრაინულ გრივნასა და სომხურ დრამთან. ციფრობრივ მაჩვენებლებში დიდი მსგავსებაა თურქეთთან. კერძოდ, 2 წლის განმავლობაში ლარი და ლირა 43-44 %-ის ფარგლებში გაუფასურდა. განსხვავება იმაშია, რომ თურქეთში ეს პროცესი 2013-დან ეტაპობრივად მიმდინარეობს, ხოლო საქართველოში — 2014 წლის ბოლოდან. სწორედ ამიტომ აისახა ასე მტკივნეულად მოსახლეობაზე.

**— თქვენი საუბრიდან გამოიკვეთა, რომ ლარი „გონივრულად“ იქცევა, არა?**

— დიახ, გარეშე ფაქტორები ლარზე დიდ გავლენას ახდენს. ლარი ადეკვატურად იქცევა, უფრო გასაკვირი იქნებოდა, კურსი ცვლილებას რომ არ განიცდიდეს. საქართველოს ყველა სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში მეტ-ნაკლებად მოხდა ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება დოლართან მიმართებაში.

ინფორმაციის შეჯამების შედეგად შეიძლება, გაკეთდეს დასკვნა, რომ ეროვნული ლარის გაუფასურების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი დოლარის გამყარება და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების შედეგია.

**— და ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: რას უნდა ველოდოთ?**

— ვინაიდან, საქართველო მჭიდროდ არის მიბმული თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკურ გარემოსთან და, ამავდროულად, მალე სრულფასოვნად ამოქმედდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, უნდა ვივარაუდოდ, რომ ქართული ლარი დამოკიდებული იქნება ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოების ეროვნული ვალუტების ქცევაზე და თუ მეზობელ ქვეყნებში ეროვნული ვალუტების გაუფასურება კვლავ გაგრძელდება, ლარის ადეკვატური ქცევა გარდაუვალი იქნება. უნდა ითქვას ისიც, რომ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნებთან მიმართებაში ეროვნული ვალუტების კურსების რყევის მაქსიმალური ნიშნულები ავიღე.

რაც შეეხება სამომხმარებლო ფასებს, უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით, შეიძლება, ასეთი ანალიზის გაკეთება: ჩვენი ვარაუდით, ჩინურ საქონელზე ფასები ყველა შემთხვევაში გაიზრდება, დაახლოებით 15-20%-ით; უკრაინულ და რუსულ პროდუქციაზე ფასების მატება 5%-იან ნიშნულს არ უნდა გასცდეს და პირიქით, თუ საომარი მოქმედებები ისევ გაგრძელდა, შეიძლება გაიაფდეს კიდეც; ევროზონიდან და თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის ფასი კი დაახლოებით 10-15-%-ით მოიმატებს. რაც შეეხება ენერგომატარებლებს, ამ ეტაპზე ფასების მატების პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა, საქართველოს მთავრობის უმთავრესი საზრუნავი იქნება აზერბაიჯანთან მოლაპარაკებების გზით მოახერხოს ენერგომატარებლებზე ფასის შენარჩუნება არსებული მდგომარეობის სტაბილიზაციამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკის კრახი გარდაუვალია.

| N | დასახელება | იმპორტი 2014წ. | | ექსპორტი 2014წ. | | ბალანსი 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მლნ. აშშ$ | % | მლნ. აშშ$ | % | |
| 1 | თურქეთი | 1727.42 | 20.10 | 239.31 | 8.36 | -1488.11 |
| 2 | ჩინეთი | 732.96 | 8.53 | 90.39 | 3.16 | -642.57 |
| 3 | აზერბაიჯანი | 637.59 | 7.42 | 544.42 | 19.03 | -93.17 |
| 4 | რუსეთი | 577.71 | 6.72 | 274.96 | 9.61 | -302.75 |
| 5 | უკრაინა | 546.14 | 6.35 | 140.21 | 4.90 | -405.92 |
| 6 | გერმანია | 465.85 | 5.42 | 69.14 | 2.42 | -396.71 |
| 7 | იაპონია | 368.17 | 4.28 | 3.28 | 0.11 | -364.89 |
| 8 | რუმინეთი | 311.40 | 3.62 | 4.03 | 0.14 | -307.37 |
| 9 | აშშ | 287.39 | 3.34 | 207.58 | 7.26 | -79.81 |
| 10 | იტალია | 221.62 | 2.58 | 86.19 | 3.01 | -135.43 |
| 11 | სომხეთი | 210.31 | 2.45 | 288.24 | 10.07 | 77.93 |
| 12 | ბულგარეთი | 209.77 | 2.44 | 164.09 | 5.74 | -45.68 |
| | სხვა დანარჩენი | 2299.92 | 26.75 | 749.32 | 26.19 | -1550.60 |
| | სულ | 8596.26 | 100.00 | 2861.19 | 100.00 | -5735.07 |

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

**ჩვენ და საზოგადოება**

# ნანა ჩაჩუა: ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოებას სასოწარკვეთის განცდა გაუნელოს!

**„ივერიონს“ ქვეყანაში არსებულ ურთულეს სოციალურ პრობლემებსა და მისი შერბილების აუცილებელ ღონისძიებებზე ესაუბრება ცნობილი ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა.**

**— ქალბატონო ნანა, ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რას განიცდის ერი, ზოგადად, ადამიანი, როცა საარსებო გარემო დღითი დღე უარესდება. რჩება თუ არა მას დრო სახელმწიფოებრივი, სულიერი თუ სხვა ღირებულებების განსავითარებლად?**

— რაიმე მოვლენაში არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირები, რომელიც, ზოგჯერ, ჩვენგან დამოუკიდებლად ხდება და ვერ ვერევით. ასეთი მოვლენა უნდა მიიღო, როგორც რეალობა.

ზოგიერთი ეკონომიკური სირთულე, რომელიც დღეს საქართველოშია, შეიძლება, ითქვას, ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, მაგრამ, თუ სახელისუფლებო ვექტორი ამ სიძნელეების აღმოფხვრისკენაა მიმართული, მოქალაქეს საფრთხისა და სასოწარკვეთის განცდა უნელდება.



ჩვენს შემთხვევაში, რასაც ადამიანები ყველაზე მეტად განიცდიან, მაღალჩინოსანთა მიერ საკუთარი თავისთვის გამოწერილი პრემიებია, რომლებიც, პირდაპირ, იჩუქეს, თავს კი იმით „იმართლებენ“, რომ ეს კორუფციაში ჩაუბმელობის წინაპირობაა. ჩემი, როგორც ფსიქოლოგის, აზრით, ეს ადამიანური კანონზომიერების უგულებელყოფაა! აგრეთვე, ამით ისიც თქმულია, როგორი ხელისუფლება გვყავს, თუმცა, შოთა რუსთაველის ქვეყანაში ასეთი გამონათქვამიც გვაქვს: „იგი წავა და სხვა მოვა...“ ასე რომ, სოციალური სამართლიანობის საკითხი ერთადერთი საკითხია, რომელიც დღეს დგას კაცობრიობის წინაშე და, მათ შორის, ძალიან პრობლემურია საქართველოში.

**— როგორ შეაფასებთ დღევანელი განათლების სისტემის ეფექტურობას. რა აზრის ხართ სასკოლო საგნების „ტოლერანტობისა“ და „მე და საზოგადოების“ შესახებ. ამ უკანასკნელს კი საფრთხისშემცველ საგანს უწოდებენ განათლების ექსპერტები და პედაგოგები...**

— დღევანდელი განათლების ხარისხი და პრინციპები აბსოლუტურად მიუღებელი, ანტიჰუმანური და ყოველმხრივ ანტია! სახელმძღვანელოები ისეა შედგენილი, რომ ვერ ისწავლო, მაგალითად, ასეთია საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოები. მათში დარღვეულია სვლა მარტივიდან რთულისკენ... შეიძლება, იაკობ გოგებაშვილის „ვანო ქალაქში“ არ შეიტანონ სახელმძღვანელოში, მაგრამ თანამედროვე, ოღონდ ღირებულით, ხომ შეიძლება, შეცვალონ?

სწავლისადმი განწყობაც ხელოვნურადაა ჩაკლული — სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა დროს იწყება სწავლა, სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა სახელმძღვანელოთი ასწავლიან და ა.შ.

თქვენს მიერ ზემოთ ნახსენები არცერთი საგანი არ სჭირდება დღევანდელ სკოლებს. ასწავლონ ბალადა „ვეფხისა და მოყმისა“ და იქაა ტოლერანტობა, ასწავლონ ილია ჭავჭავაძე და იქ იპოვიან „მე და საზოგადოებას“. სხვა მხრივ, ამ საგნების სწავლება წყლის ნაყვაა, რადგან იქ ჩაწერილი დებულებებით ადამიანს საზოგადოებრივ ტიპად ვერ გადააქცევ.

**ესაუბრა**
**ია ჯღარკავა**

# თამაზ ვაშაყმაძე – „ხელთუქმნელი ძეგლის“ ავტორი

## მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღირსეული წევრების ასარჩევად ემზადება



*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ამ თვის ბოლოს ახალ აკადემიკოსებს აირჩევენ. კონკურსი უკვე გამოცხადებულია და ბევრი ღირსეული კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას, მიიღოს ეს უმაღლესი ინტელექტუალური ხარისხი. კანდიდატები წარმოადგინეს სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა და ცალკეულმა აკადემიკოსებმა...*

*თუმცა, არანაკლებ საინტერესოა, რამდენად შეესაბამებიან წარდგენილი მეცნიერები ამ ტიტულს და აკმაყოფილებენ თუ არა თავიანთი მოღვაწეობითა და მიღწევებით აკადემიკოსისთვის საჭირო და აუცილებელ მოთხოვნებს.*

*მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში საკმაოდ მაღალი საერთაშორისო დონის სხვადასხვა სამეცნიერო სკოლები განვითარდა. მათ შორის, მათემატიკური და საინჟინრო მიმართულებით და მას ანდრია რაზმაძის, გიორგი ნიკოლაძის, ნიკო მუსხელიშვილის, კირმაკ ზავრიევის, ვიქტორ კუპრაძის სახელებით ვიწყებთ, რომელთა შემდგომ თაობას შალვა მიქელაძე, ვლადიმერ ჭელიძე, გიორგი ჭოღოშვილი, ოთარ ონიაშვილი და სხვები წარმოადგენენ. მეტად ყურადსაღებია, რომ ფუნდამენტურ კვლევათა მეცნიერება, მიუხედავად ცნობილი დეგრადირების პერიოდისა, არ ჩამქრალა. ჩვენს ეპოქაშიც ცნობილ სახელებს ახალი თაობის მეცნიერებიც ემატებიან.*

ჩვენ ამჟერად გვინდა, ყურადღება შევაჩეროთ ერთ-ერთ კანდიდატზე, ქართველ მათემატიკოსზე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ **თამაზ ვაშაყმაძეზე.** მას ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ინჟინერიის დარგში აქვს შეტანილი განაცხადი. უკვე მოუსმინეს კიდეც აკადემიის ექსპერტული საბჭოს სხდომაზე.

კომპიუტერული მეცნიერებები, პროგრამული ნაწარმის შექმნა და ალგორითმებით უზრუნველყოფა... ამ დარგში თამაზ ვაშაყმაძის შრომები ორი მიმართულებით იყოფა. „Softwear“ და „Hardwear“. პირველს მიეკუთვნებიან „ჩვეულებრივი და კერძო დიფერენციალურ განტოლებათა მიახლოებითი ამოცანის ოპტიმალური ალგორითმები არითმეტიკულ ოპერაციათა რაოდენობისა და მდგრადობის აზრით და სტანდარტული პროგრამები“, „საუკუნის განტოლებები“ და „ორთოგონალური პოლინომები“, ხოლო მეორე საფეხური მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: „თხელკედლოვანი მრავალფენოვანი სტრუქტურის მათემატიკური თეორია“ და „უწყვეტი გარემოს მექანიკის ერთიანი მათემატიკური მოდელი“.

თამაზ ვაშაყმაძის ნაშრომებს იყენებენ და ციტირებენ ისეთი კორიფეები, როგორებიც არიან რიჩარდ ბელმანი, ივო ბაბუშკა, ფილიპ სიარლე, სტუარტ ანტმანი, სერგეი ამბარცუმიანი და სხვები. თუმცა, თამაზ ვაშაყმაძე ორიოდე წლის წინათ პეკინში წაკითხული მოხსენების შემდეგ ასეთ რამეს წერდა: **„ფონ კარმანის ტიპის განტოლებების შესაბამისი მოდელი წარმოადგენს რეისნერის ტიპის არაწრფივ მოდელთან (სიარლეს მიერ, რაბიესთან ერთად, სქემის საჭიროება განხილულია დამატებით, ფონ კარმანის მოდელთან ერთად. ამასთან ამ ავტორთა მიერ დაუშვებელი იყო ცნობილი ინგლისელი მათემატიკოსის ერის ფუნქციის მიმართ განტოლების ტრივიალობა). ამ მიმართულებით ჩემი შრომების შესახებ არაერთი ციტირება აქვთ ანტმანს, სიარლესა და პოდიო-გუიდულის. კერძოდ, ანტმანი აღნიშნავს, რომ ჩემი მეთოდი ფონ კარმანის მოდელის აგების რაციონალური ხერხია, რომელიც თავისუფალია გამამარტივებელი ჰიპოთეზების გამოყენებისგან. ზემოთქმულით მტკიცდება გაცილებით ძლიერი შედეგის სამართლიანობა, რითაც ანტმანის, სიარლესა და პოდიო-გუიდულის განხილვებს პრინციპული ღირებულება აღარ აქვს...**

**მე მოველოდი შენიშვნას, თუ რომელიმე ავტორისთვის ჩემი დასკვნები იქნებოდა არამართებული. მათგან მივიღე მილოცვისა და ფარულად ჩემი დასკვნების ჭეშმარიტების აღიარება“.**

როგორც ითქვა, ბატონი თამაზი გახლავთ მათემატიკის თეორიის ავტორი თერმო-დრეკადი ანიზოტროპული არაერთგვაროვანი ცვლადი სისქის თხელკედლოვანი სტრუქტურებისთვის. და რაც მთავარია, იგი ავტორია პრინციპისა უწყვეტი გარემოსთვის: ნიუტონ-ტრუსდელის მექანიკის ფარგლებში შეიქმნა ერთიანი მათემატიკური მოდელი, რომლის საფუძველზე დამტკიცდა დებულება იმის შესახებ, რომ რაიმე გარემოსთვის აღმოჩენილი მოვლენა ან პროცესი უნივერსალური ხასიათისაა.

თამაზ ვაშაყმაძის მონოგრაფია „The Theory of Anisotropis Elastic Plates“ წარმოადგენს ერთ-ერთი ძირითად სახელმძღვანელოს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების 200-ზე მეტი შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტსა და საინჟინრო-ტექნიკური ხასიათის უმაღლეს სასწავლებლებში. აღნიშნული მონოგრაფიის მეორე გამოცემა, 2010 წელს „Springer“ მიერ გამოიცა. აღსანიშნავია, რომ თამაზ ვაშაყმაძე მონაწილეობდა სემინარებში ანკარასა და თბილისში „ნატოს“ მშვიდობისა და უსაფრთხოების ხაზით პროექტების მომზადების მიმართულებით (უპილოტო თვითმფრინავების უახლესი კონსტრუქციების შექმნის თაობაზე). ქართველ მეცნიერს რომ ასეთი საპასუხისმგებლო მისიაში მონაწილეობის უფლება ერგო, ესეც ერთგვარი დადასტურებაა იმისა, თუ რა მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს მისი ნაშრომები მეცნიერების უმნიშვნელოვანეს დარგში – რასაც მყარად ეფუძნება თანამედროვე და მომავლის ტექნოლოგიები. ამ ფაქტთან დაკავშირებით „ნასა“-ს წამყვანი თანამშრომელი 1991-2002 წ.წ-ში, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, პროფესორი **ისააკ ელიშაკოვი წერს: „ნატოს ეგიდით აშშ-ის, თურქეთისა და საქართველოს ერთობლივ პროექტში – „ზემაღალი უპილოტო საფრენი აპარატისთვის მოქნილი კომპოზიციური სტრუქტურის დიზაინი და ანალიზი“ ვმონაწილეობდი, როგორც კო-დირექტორი, პროფესორი თამაზ ვაშაყმაძე კი გახლდათ ლიდერი, რამდენადაც ფრთის გავლის დიტერმინისტული ოპტიმალური თეორია ეფუძნება მხოლოდ მის შედეგებს ისევე, როგორც სათვლელ სქემათა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და ფუნქციონირება“.**

თამაზ ვაშაყმაძის უდავო პროფესიონალიზმზე წერენ ცნობილი პროფესორები, აკადემიკოსები და მას საერთაშორისო დონის მეცნიერად აღიარებენ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მ. პროხოროვის სახელობის ზოგადი ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფ. **ანრი რუხაძე წერს: „პროფ. ვაშაყმაძის შედეგებიდან გამოვყოთ იდეური გარღვევის მატარებელი შედეგები: „საუკუნის განტოლების“ კოეფიციენტებისა და საკუთრივი რიცხვების გათვლის მეთოდი მაღალი სიზუსტით, უწყვეტი გარემოს (სითხე, გაზი, მყარი დეფორმადი სხეული) ერთიანი წარმოდგენის პრინციპი, თხელკედლოვან დრეკად სტრუქტურათა მათემატიკური თეორიის შექმნა, მისი ანალოგის შესახებ „კ. გიოდელის არასისრულის თეორემასთან (გათ)“. აქედან, გათვლის მეთოდი წარმოადგენს საძიებელი სიდიდეების განსაზღვრას არანაკლებ 2.000 ნიშნადი ციფრისა. იგი ეყრდნობა ავტორის მიერ მატრიცული ველის დაშლის პრინციპსა და 10 მილიონამდე ხარისხის კლასიკური ორთოგონალური პოლინომების გათვლის მეთოდებს კომპიუტერზე გამართული და რეალიზებული ალგორითმებისა და პროგრამული ნაწარმის საშუალებით. უწყვეტი გარემოს ერთიანი წარმოდგენის პრინციპი აღწერს არაწრფივი დიფერენციალური ამოცანების დინამიურ სისტემას (დას), საიდანაც პარამეტრების შერჩევით მიიღება მყარი დეფორმადი გარემოს მექანიკის შესაბამისი დას-ი, ეილერისა და და ნავიე-სტოქსის ტიპის განტოლებები. თხელკედლოვან დრეკად სტრუქტურათა მათემატიკური თეორია გულისხმობს ყველა დაზუსტებული და კლასიკური თეორიების, ასევე მათი ეკვივალენტური კონტინუუმის სიმძლავრის მოდელების (მათ შორის ეილ-ბერნულის, კირხჰოფლავის, ფონ კარმან-კოიტერის, პუანკარეს, ფაილონის, სიარლეს, ბოლის, ანტმანის...) აგებას გამმარტივებელი ფიზიკური ან გეომეტრიული დაშვებების გარეშე, გადასვლის ცდომილების შეფასებას ქვემოდან, რაც დაზუსტებული თეორიებისათვის გათის ანალოგია. სისრულისათვის საჭიროა ვეკუა-კანტოროვიჩის ტიპის მეთოდებისათვის სისრულის დამტკიცება, რაც გადმოცემულია „The Theory of Anisotropis Elastic Plates“, Springer. 2010) მეორე თავში.**

**არსებით გარღვევას წარმოადგენს პროფ. თ. ვაშაყმაძის შედეგები, რომელთაგან გამოსაყოფია შრომები, სადაც შეფასებული მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად საჭირო არითმეტიკულ ოპერაციათა რიცხვის რიგი. ნაჩვენებია, რომ ამოცანათა ქვეკლასელებზე ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის იგი ძირითადი პარამეტრის (ბადის ბიჯის შებრუნებული სიდიდის) მიმართ პირველი რიგისაა გამრავლებული პარამეტრის ლოგარითმზე, კლასიკური შრომებისგან განსხვავებით, რომლებიც შედეგის მისაღებად საჭიროებენ პარამეტრის მეორე ხარისხს გამრავლებულს იგივე სიდიდეზე. ცხადია, რომ პროფ. ვაშაყმაძის ალგორითმები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (softwear) მნიშვნელოვანია არა მარტო კლასიკური კომპიუტერებისათვის, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კვანტური (ახალი თაობის) კომპიუტერების ფუნქციონირებისათვის.**

**თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ავტორმა თავისი შრომებით ააგო „ხელთუქმნელი ძეგლი“, მისი სახელი სამუდამოდ დარჩება მეცნიერებაში... პროფ. თ. ვაშაყმაძის აკადემიკოსად არჩევა იქნება არა მარტო მისი დამსახურებული აღიარების ჟესტი, არამედ სამამულო თეორიული და განსაკუთრებით პრაქტიკული მეცნიერების შემდგომი ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი და სასარგებლო მოვლენა“.**

იმ პიროვნებათა შორის, ვინც მხარს უჭერს პროფ. ვაშაყმაძის კანდიდატურას, არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამი უცხოელი ნამდვილი წევრი: სომხეთის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი სერგეი ამბარცუმიანი, ფლორიდის ატლანტიკის ოკეანის უნივერსიტეტის ინჟინერიისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა კოლეჯის გამორჩეული (distanguished) პროფესორ-მკვლევარი, ისააკ ელიშაკოვი. სახელმწიფო და ლომონოსოვის პრემიების ლაურეატი, პროფესორი ანრი რუხაძე, რუსეთის მეცნ. აკადემიის ავტომატიზირებული პროექტების ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი, გამოთვლითი ფიზიკის დარგის შემქმნელი, აკადემიკოსი ოლეგ ბელოცერკოვსკი, ამავე ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ხოლოდოვი და ტობის (ანკარა) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სრული პროფესორი მანქანათმშენებლობის მიმართულებით, ნასა-ს კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი 1983-87 წ.წ., თურქეთის ავიაციის ინდუსტრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აერობუს A400M პროექტის ავტორი და შემქმნელი პროფესორი უინვერ კაინაკი.

აკად. ს. ამბარცუმიანიც ამბობს: **„მე კარგად ვიცნობ პროფ. ვაშაყმაძის გამოკვლევებს. ისინი ფართოდაა ცნობილი და წარმოადგენს მეცნიერების განვითარების არსებით მონაპოვარს. მისი არჩევა კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს თანამშრომლობას“.**

**„ჩემთვის ცნობილია ვაშაყმაძის შრომები და მათ თვალყურს ვადევნებდი მრავალი წლის მანძილზე,** – წერს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ფილიპ სიარლე, **– მე გავუკეთე მის შრომებს მრავალჯერადი „ციტირება ჩემს წიგნში „Mathematical Elast; city, volume II: Theory of Plates. მსურს, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო მისი მეცნიერული მიღწევების მიმართ და იმის გამოც, რომ იგი დღესაც ძალზე აქტიურად და ნაყოფიერად მოღვაწეობს“.**

ამერიკელი პროფესორი ანტმანი მიიჩნევს, რომ **ალტერნატიული ანალიზის განხილვის მიზნით, ვაშაყმაძის შრომა არის პირველი, რომელშიც აგებულია ფონ კარმანის განტოლებები რაციონალური მიდგომით დრეკადობის არაწრფივი ზოგადი თეორიის ფარგლებში. ამ განტოლებათა ყველა ადრეული გამოკვლევები, დაწყებული ფონ კარმანიდან, განიხილავდნენ სხვადასხვა გამმარტივებელ დაშვებებს რიგი წევრების უგულებელყოფით.ეს შეფასება ნაწილობრივ მართალია,მაგრამ არასრულია.საქმე იმაშია, რომ სიარლეს მიერ ფონ კარმანის განტოლების მიღების გზა ასიმპტოტური მეთოდის გამოყენებით შეიცავს ორ არსებით შეუსაბამობას.**

**1. ასიმპტოტური გაშლის შედეგად მიღებული სიდიდეები გაშლის კოფიციენტებია (გარდა შესაძლებელია საშუალო ჩაღუნვისა, რომელიც რეისნერის ტიპის ჩაღუნვისაგან განსხვავდება სისქის მიმართ მეორე რიგის შესაკრებით) და არა ფიზიკური სიდიდეები.**

**2. ფონ კარმანის მოდელის ასაგებად (მხოლოდ ერთგვაროვან იზოტროპულ სტაციონარულ შემთხვევაში) ფ. სიარლე ირჩევს წინასწარი ხელოვნური ხასიათის დამოკიდებულებებს, ამოცანის მონაცემებს, საძიებელ სიდიდეებსა და კოეფიციენტებს შორის, როგორც ამას აკეთებდა ა. გოლდენვეიზერი გარსების კირხჰოფლავის მოდელის მისაღებად. მიჩნეულია, რომ მოცულობით ძალებსა და პირეულებზე განსაზღვრული ზედაპირული ძალების ჰორიზონტალური მდგენელები ტრივიალურია“ (Nonlinear Problems of Elasticity, Springer, 2005, p.699)8**

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ.

**ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ**

მათქმევინეთ!

# მტერი კაცსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს!

(მესამე გვერდიდან)

**საყდრისის მაღაროს როლი ქართული სახელმწიფოს წარსულის გარკვევის საქმეში!**

სწორედაც ეს ვერსია უნდა იყოს პასუხი, ევროპაში ვითომ დღემდე პასუხგაუცემელ კითხვაზე — ვინ არიან ბასკები? რომლებიც არანაირი პარამეტრებით არ ემსგავსებიან ევროპაში მცხოვრებ ინდოევროპელებს ისევე, როგორც ქართველები (უნგრელების, ფინელების და ალბანელების წარმოშობა დადგენილია).



ამით, ალბათ, დამთავრდება გაუთავებელი მითები, რომ ჩვენ ქართველები პირინეის იბერიიდან, ეგვიპტიდან, მესოპოტამიიდან ვართ მიგრირებული, ან პირიქით.

ასევე მარტივი ასახსნელი ხდება, ქართულ-კავკასიური გენები, მართლაც თუ ემთხვევა ძველ ეგვიპტელებს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი საერთო არეალის ცივილიზაციის ორი სხვადასხვა მონათესავე ქვეყანა იყო და არა მიგრაციების გამო (მაგალითად, როგორც დღევანდელი ორი სლავური ქვეყანა რუსეთი და სერბეთი).

**არსად არ წავსულვართ-მოვსულვართ, უბრალოდ, ვართ ძველი, ინდოევროპელებამდე არსებული ცივილიზაციის კოლხ-ლაზ-ჭან-მესხ-ქართების პრეინდოევროპული ქვეყანა, რომელიც დღესაც არსებობს ამ არეალის აღმოსავლეთ პერიფერიაში, ისევე როგორც ბასკები უკიდურეს დასავლეთ პერიფერიაში, ხოლო დანარჩენი ჩვენი მსგავსი ერები, ან გადაშენდნენ, ან ასიმილირებულ იქნენ. ესაა ძირითადი საკითხი, რომელსაც კულტივირება ჭირდება, აქ ყველაფერი ზედაპირზე დევს, ვერავინ ვერ გახდის სადავოს და ლოგიკურ ჯაჭვსაც აქეთ მივყავართ.**

ამაში უნდა იყოს ჩვენი განსაკუთრებულობა თუნდაც და არა გაუთავებელ ილუზიებში, რაც ხშირად არასერიოზულად აღიქმება სამეცნიერო წრეებში, იწვევს ქაოსს და რეალური მიმართულებას ცდება კვლევის პროცესი.

რაც შეეხება ენათა მსგავსების დამტკიცებას, დღეს კი არა და ქართულ-ბასკური ენები, მაშინაც იქნებოდა უკვე საკმაოდ განსხვავებული, ტერიტორიულად დაშორიშორების და დროის გასვლის გამო, რაც მათ დაშორიშორებას დასჭირდებოდა რაღაც საწყისი წერტილიდან, ვინ იცის რამდენი: ათასი, ორი ათასი წელი...

მაშინდელი ქართული ენა შეიძლება ჰიპოტეტურად უფრო ახლოს იყო მეზობლების ენასთან, ვთქვათ ტროას ან ეხლანდელ ყირიმის, ანუ ტავრიის მცხოვრებთა ენასთან, ვინ იცის....

უდავოა, დამტკიცდება საერთო წარმოშობა ბასკურ ენასთან, თუნდაც მიხეილ ქურდიანის კვლევებიდან გამომდინარე შეიძლება ამის თქმა. იგივეა, ალბათ, შუმერულ, ეტრუსკულ თუ პელაზგურ ენებთან მსგავსების დადგენაზე.

ჩვენ ქართველებს ახლა გვაქვს იმის უფლება, რომ ხელის შეწყობის ნაცვლად, ხელი შევუშალოთ ამ პროცესს და უძველესი არგუმენტები ვანადგუროთ?

იტალიელები, რომლებიც ეტრუსკების კულტურაზე არიან დაფუძნებული, ისევე როგორც ბერძნები პელაზგების კულტურაზე, ძველი გენში ჩადებული მეხსიერებიდან გამომდინარე, კვალის წაშლას და გაბიაბრუებას ცდილობენ, ვითომ ზღვის ხალხი ლიდიიდან მოვიდნენო... არაა გამორიცხული, შეიძლება მართლა ლიდიიდან მოვიდნენ ეტრუსკები, მაგრამ საკითხავია — როდის? ლათინებზე ბევრად ადრე ხომ არა? მაგრამ, ვინ შეეპასუხება, ეტრუსკები ხომ მკვდარი ერია დღეს.

ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენც არ ვართ? ჩვენ თვითონ გვინდა კვალის წაშლა? თავს გვახვევენ ამის გაკეთებას? მაშინ, ახლავე ვთქვათ მინიშნებით მაინც.

დავამთავროთ ორასწლიანი „იჟდივეშჩენსტვო“ (იგივე სსრკ) და ყველაფერი დალაგდება ჩვენს სასარგებლოდ.

**არაა გამორიცხული, საყდრისის აფეთქების პრეცედენტი, პირიქით, კატალიზატორიც შეიძლება აღმოჩნდეს და დააჩქაროს პროცესი.**

უბრალოდ, დროის საკითხია, ორი წლის შემდეგ იქნება თუ ხუთი წლის მერე, საყდრისს, კოსმოსური კვლევიდან კორდინატებდადგენილს, ან თუნდაც, ლოგიკური ჯაჭვიდან გამომდინარე, კანადელი, ავსტრიელი თუ უგანდელი მკვლევარი რომ მოიკითხავს და ავაფეთქეთო რომ ვიტყვით, ნეტა რას ვაპირებთ მერე?

**ელგუჯა ჭანტურიძე**

**P. S. თუ ვინმეს სასურველის რეალობად წარმოჩენა გონია ზემოთ მოყვანილი, მაშინ ამიხსენით, საიდან მოდიან ბასკები და ქართველები და რატომ არ არიან ინდოევროპელები?**

**ბოლოს და ბოლოს, ინდიელები საიდან მოხვდნენ სამხრეთ ამერიკაში 30000 წლის წინათ ის გაირკვა და ეს ვეღარ გაირკვევა, ვითომ?**

**ე. ჭ.**

ალიან-ჩალიანი

## რამდენად აკონტროლებს დავით ნარმანია მერიაში სიტუაციას?..

**დედაქალაქის მერს დავით ნარმანიას მიმდინარე კვირის განმავლობაში სავარაუდოდ, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დავიბარებთ, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.**

**ელისაშვილის თქმით, ამ მომენტისათვის თბილისის საკრებულოს 10 დეპუტატის ხელმოწერა გააჩნია თხოვნაზე, რომ დედაქალაქის მერი დავით ნარმანია საკრებულოში რიგგარეშე სხდომაზე მივიდეს. ელისაშვილის განმარტებით, იგი ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატებისაგან“ პასუხს ელოდება და აცხადებს, რომ მათგან სიტყვიერი თანახმობა უკვე აქვს.**

**„არის შეკითხვები, რა ხდება დედაქალაქში, რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა, რა ხდება მერიაში, სადაც ძალიან ბევრი საკადრო გადაადგილებაა. ამ კითხვებზე განმარტებები ვერ მივიღეთ. გვაინტერესებს კორუფციის ფაქტები, რამდენად აკონტროლებს სიტუაციას მერიაში დავით ნარმანია, რამდენად აქვს მას მტკიცედ ხელთ მართვის სადავეები და ხომ არ გაექცა ეს მართვის სადავეები. ეს შეკითხვები გვაქვს, გაურკვეველია, რატომ მოხდა ამ საკითხის ასე პოლიტიზირება. კვირების განმავლობაში ვთავაზობდით უმრავლესობას მოსულიყო დედაქალაქის მერი საკრებულოში, მაგრამ უარი თქვეს, შემდეგ დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება“, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.**

**ინტერპრესი**

ვითარება

# იაფი საწვავის „ბალიში“ იფუშება?!

**ამ ეტაპზე მარაგები იწურება და როცა ახალ პარტიებს შემოიტანენ იმპორტით, იძულებული იქნებიან, საცალო ბაზარზე ფასს გადახედონ**

**შეიძლება ითქვას, ეს ის შემთხვევაა, როცა რეალობა სტატისტიკისგან მკვეთრად განსხვავებულია. „საქსტატის“ მონაცემებით, თებერვალში იანვართან შედარებით სურსათი და უალკოჰოლო სასმელები მხოლოდ 0,1%-ით გაძვირდა, ჯანმრთელობის დაცვა— 0,9%-ით, სხვადასხვა საქონელი და მომსახურება —1,5%-ით. თუმცა, ის, რაც სტატისტიკაში ჯერ არ ასახულა, გვარიანად დაეტყო ჩვენს ჯიბეს. მთელ რიგ პროდუქტებზე ფასები რომ გაიზარდა, ამას მარტივად, ყოველგვარი სტატისტიკური გათვლების გარეშეც ვხვდებით, როცა ბოლო დროს ერთი და იმავე რაოდენობის პროდუქტის შეძენისას ყოველ ჯერზე სულ უფრო მეტის გადახდა გვიწევს. ვალუტის კურსის გაუფასურების გამო მომდევნო თვეებში, სავარაუდოდ, ინფლაცია კიდევ გაიზრდება. ასეთ პროგნოზს აკეთებენ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ექსპერტებიც.**

მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის (სსფ) განცხადებით, თებერვალში ინფლაცია მხოლოდ 1,3% ნაწილობრივ იმის გამო იყო, რომ ნავთობის ფასმა იკლო, თუმცა, სამომავლოდ ინფლაციის ზრდას პროგნოზირებენ. ლარი-დოლარის არსებული გაცვლითი კურსისა და ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასების მატების გამო, საწვავზე ფასების ზრდას არ გამორიცხავენ ნავთობიმპორტიორები. ცნობილია, რომ საწვავის ფასი თითქმის ყველა პროდუქტისა და მომსახურების ფასის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, თუ ეროვნული ვალუტის კურსი თუნდაც არსებულ ნიშნულზე შენარჩუნდება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ განვითარდება მოვლენები მხოლოდ საწვავის გაძვირების შემთხვევაშიც.

**ზაალ იაკობიძე, კომპანია „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელი:** „ძალიან მალე ნავთობპროდუქტების ფასებიც გაიზრდება, სხვაგვარად შეუძლებელია. საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტები უკვე გაძვირდა, ამას დაემატა ისიც, რომ გაუარესდა ლარის კურსი დოლარის მიმართ. ორივე ამ გარემოებამ მკვეთრად გაზარდა საწვავის თვითღირებულება. მოგეხსენებათ, ნავთობპროდუქტების შესყიდვა დოლარში ხდება. შესაბამისად, ლარის კურსის გაუფასურება აუცილებლად აისახება საცალო ბაზარზე. საბითუმო ბაზარზე ფასები უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ლიტრზე დაახლოებით 25-30 თეთრის ფარგლებში ორივე პროდუქტზე, როგორც დიზელზე, ისე ბენზინზე. ახლა ლიტრი დიზელის საბითუმო ფასი 1,50 ლარია, ბენზინისა კი - დაახლოებით 1,55 ლარი. ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობ პრემიუმკლასის საწვავზე. ამის შემდეგი ეტაპი ფასის საცალო ბაზარზე გაზრდაა. საწვავი საცალო ქსელში აქამდე რომ არ გაძვირდა, იმის



დამსახურებაა, რომ დიდ კომპანიებს, სავარაუდოდ, ჰქონდათ განსაზღვრული ნაშთი და, ჯერჯერობით, აქედან გამომდინარე არ გაზარდეს ფასი. შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ სამთავრობო წრეების თხოვნა იყო, ნავთობპროდუქტების რეალიზატორებს ამ ვითარებაში ფასები არ გაეზარდათ. მაგრამ ასეთ ფასებს დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეინარჩუნებენ. შესაძლოა, რამდენიმე დღე თვითღირებულების ფასად გაყიდონ საწვავი, მერე კიდევ რამდენიმე დღე თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად, მაგრამ მუდმივად ასე ვერ გაგრძელდება. ამ ეტაპზე კომპანიები მოგების ძალიან დაბალ მარჟებზე მუშაობენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან საცალო, არაბრენდირებული ავტოგასამართი სადგურები. ისინი, ძირითადად, დაბალ ფასზე მუშაობდნენ და ამით უწევდნენ კონკურენციას ბრენდირებულს. იმის გამო, რომ მსხვილმა კომპანიებმა საწვავზე ფასები არ გაზარდეს, არაბრენდირებულები ფასით კონკურენციას ვეღარ უწევენ, რადგან მათი ფასი, ფაქტობრივად, გაუტოლდა ბრენდირებულთა ფასს და გაყიდვა ძალიან შეუმცირდათ“.

**გიორგი კოტრიკაძე, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე:** „იანვრის შუა რიცხვებიდან დღემდე საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასი (საინფორმაციო სააგენტო Platts-ზე დაყრდნობით) 1 ტონა ბენზინზე გაიზარდა 160 დოლარით, ხოლო 1 ტონა დიზელზე — 110 დოლარით. მიუხედავად იმისა, რომ ნედლ ნავთობზე ფასი მერყეობს, ადგილობრივ ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასი სწორედ „პლატსის“ მიხედვით განისაზღვრება. საერთაშორისო ფასის ზრდისა და ლარის გაუფასურების მიუხედავად, ნავთობიმპორტიორმა კომპანიებმა არ გაზარდეს საწვავზე ფასები, არსებული მარაგების ხარჯზე. მოგეხსენებათ, დიდ კომპანიებს, მცირე მოთამაშეებისგან განსხვავებით, აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ საწვავის დიდი მარაგები შექმნან. მაგრამ ამ ეტაპზე მარაგები იწურება და როცა ახალ პარტიებს შემოიტანენ იმპორტით, იძულებული იქნებიან, საცალო ბაზარზე ფასს გადახედონ. წარმოიდგინეთ, არსებული პარტიები კომპანიებმა მომწოდებლებისგან მაშინ შეიძინეს, როცა 1 დოლარი 1,78 ლარი ღირდა. მიმდინარე კურსით ნავთობპროდუქტების ახალი პარტიების შეძენისას კი საცალო ქსელში ძველი ფასების შენარჩუნება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. დღეს საქართველოში დაახლოებით 50 კომპანია ოპერირებს ნავთობპროდუქტების სექტორში. დაახლოებით 800 ავტოგასამართი სადგურიდან ბრენდულთა წილად მოდის 500, დანარჩენი 300-ზე მეტი კი არაბრენდულია. კომპანიებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შემოაქვთ საწვავი იმპორტით როგორც აზერბაიჯანიდან, ისე ევროპიდან. ბაზარი აბსოლუტურად გახსნილი და კონკურენტულია, შესაბამისად, ფასების ზრდა მხოლოდ ობიექტური ფაქტორებით, ლარის კურსითა და საერთაშორისო ფასებით იქნება განპირობებული“.

**ემა ტუხიაშვილი**

ეროვნული ვალუტა

# ქამრების შემოჭერა კრიზისის დასაძლევად საკმარისი არ იქნება

## დაგვიანების ყოველი დღე არასასურველია და ხელისუფლებამ სწრაფად უნდა იმოქმედოს

**მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიამ მუშაობა დაასრულა და მთავრობას კრიზისის დასაძლევად რეკომენდაციები მისცა, ლარმა კვლავ ვარდნა დაიწყო და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსი 2,17 ლარის ნიშნულზე გაჩერდა. სავალუტო ჯიხურებსა და კომერციულ ბანკებში დოლარი კიდევ უფრო ძვირი ღირს, რადგან მოთხოვნა დოლარზე კვლავ მაღალია. სადამდე „გაცურავს" ლარი, ჯერ უცნობია, ისევე როგორც უცნობია მთავრობის გეგმა, რომელმაც ქვეყანა სავალუტო კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს.**

ანტიკრიზისული გეგმის წარდგენის აუცილებლობა მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმაც შეახსენა. გასულ კვირას პრეზიდენტთან შეხვედრისას მთავრობის ეკონომიკური გუნდი შეთანხმდა, რომ მთავრობის სავალუტო სტაბილურობის გეგმას 5 მარტამდე წარმოადგენდნენ. გიორგი აბაშიშვილის შეხსენებას ეკონომიკის მინისტრი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ასეთი ვადის დათქმით და ვითომ დარღვევით აჟიოტაჟი არ უნდა შეიქმნას.

ფაქტია, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის „ძიძგილაობა" ლარის კურსსა თუ ფასების ზრდას სასიკეთოდ ვერ წაადგება.

მართალია, კრიზისის დასაძლევად მთავრობას გაწერილი გეგმა არა აქვს, მაგრამ ფრაგმენტულად ცნობილია, რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება. მთავრობის წევრები ამბობდნენ, რომ საჭირო იქნება დამატებითი ინვესტიციები ინფრასტრუქტურის მიმართულებით და ამისთვის დამატებითი ვალის აღებას აპირებდნენ. მთავრობის ამ ნაბიჯს სსფ არ ეთანხმება. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე დონორებისგან ფულის სესხებაზე საუბარი ნაადრევია, რადგან დასაძლევია ფუნდამენტური პრობლემები.

მაშინ, როცა ხელისუფლებას ოპონენტებმა გადასახადების შემცირება ურჩიეს, სავალუტო ფონდი, პირიქით, გადასახადების გაზრდას ემხრობა.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას, ფაქტობრივად, ეს ერთადერთი საკითხია, რის შესახებაც სსფ-ისა და მთავრობის მოსაზრება ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა, მხოლოდ „ქამრების შემოჭერა" კრიზისის დასაძლევად საკმარისი არ იქნება.

**ავთანდილ სილაგაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი:** „ის, რაც ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით განაცხადა, შეგვიძლია სავალუტო სტაბილურობის ერთ-ერთ მექანიზმად განვიხილოთ. მეორე მხრივ, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით უნდა გადავხედოთ კანონმდებლობას, რათა მაქსიმალურად მასტიმულირებელი მექანიზმები გვქონდეს. აქტიურად უნდა წარიმართოს მუშაობა ტურიზმის განვითარებისთვისაც.



გასაგებია, რომ სავალუტო კრიზისში დიდი როლი ითამაშა საგარეო ფაქტორებმა, მაგრამ პრობლემები ქვეყანაშიც უნდა ვეძებოთ.

უნდა განვითარდეს წარმოება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ამისთვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსი, რაც საკმაოდ ბევრი გვაქვს. რაც შეეხება ახალი სახელმწიფო საგარეო ვალის აღებას, ეს ნაბიჯი, შესაძლოა, გადაიდგას, მაგრამ ეს ფული მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული, კერძოდ, ეროვნული წარმოების ზრდისთვის და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეფექტური. წინა მთავრობამ ძალიან ბევრი ვალი აიღო, ბოლო 4-5 წელიწადში — მილიარდობით დოლარი, მაგრამ ეკონომიკის განვითარებისთვის არ გამოუყენებია.

ვალს ყველა სახელმწიფო იღებს, მაგრამ ეფექტური უკუგების მიღებას ცდილობს.

საქართველოს აქვს დიდი რეზერვი სახელმწიფო საგარეო ვალის ასაღებად. მთლიანი შიდა პროდუქტის მაქსიმუმ 60%-მდე მიზანშეწონილია, იყოს საგარეო ვალის წილი. ახლა საგარეო ვალის წილი მშპ-სთან არის არა უმეტეს 40%-ისა.

**— რა გამოდის, ხელისუფლება უნდა გაემიჯნოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს?**

— ინფრასტრუქტურის გარდა, სესხი უნდა გამოვიყენოთ რეალური წარმოებისთვის.

წლების განმავლობაში სესხებს მილიარდობით ვიღებდით და არასდროს ვიყენებდით რეალურ სექტორში, სადაც რეალური დოვლათი იქმნება და დასაქმების დიდი რეზერვებია. შესაბამისად, არ ვუჭერ მხარს ასეთი სესხის აღებას და მის დახარჯვას მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. სავალუტო ფონდს კატეგორიულად არ უთქვამს, აუცილებლად გაზარდეთ გადასახადები და არავითარ შემთხვევაში არ აიღოთ სესხიო. მათ რამდენიმე ალტერნატივა შესთავაზეს მთავრობას. ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ გადასახადების ზრდა არსებულ ვითარებაში გაუმართლებლად მიმაჩნია.

პირიქით, მეწარმეები და ბიზნესი გადასახადების ზრდით კი არ უნდა შევავიწროვოთ, არამედ კიდევ მეტი ლიბერალიზაციისკენ უნდა წავიდეთ. რაკი სავალუტო ფონდმა დაგვიტოვა რეკომენდაციები, ამიტომ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს, ფაქტობრივად, ანტიკრიზისული გეგმაა. მთავრობას შეუძლია უფრო დეტალურად გაწეროს ყველა ნაბიჯი, რაც კრიზისის დასაძლევად უნდა გადაიდგას და სამთავრობო ანტიკრიზისული გეგმა ჩამოაყალიბოს. ამასთან, ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააკეთოს.

დევალვაცია მიმდინარეობდა, მაგრამ ფასები არ იზრდებოდა. ბოლო პერიოდში კი აშკარად შესამჩნევია ფასების ზრდა, რომლის მეტად ზრდას აჩერებს ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასების თითქმის მინიმალური დონე. მათ რომ ძველი ფასები ედოს, მაშინ უმძიმესი ვითარება შეიქმნებოდა. ამიტომ მხოლოდ ნავთობპროდუქტების ფასებზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული და სხვა ბერკეტებიც უნდა გვქონდეს. როცა გვიანდება ანტიკრიზისული გეგმების შემუშავება, ეკონომიკას აქვს ერთი ასეთი თვისება - როცა ფასები გაიზრდება, ამის განმაპირობებელი მიზეზები, შესაძლოა, განსაზღვრული დროის შემდეგ აღმოიფხვრას, მაგრამ ფასები გაზრდილ ნიშნულზე დარჩება. არადა, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ხელფასი ლარში აქვს. ამიტომ დაგვიანების ყოველი დღე არასასურველია და ხელისუფლებამ სწრაფად უნდა იმოქმედოს.

**ემა ტუხიაშვილი**

---

სავალუტო ციებ-ცხელება

# თუ ექსპორტმა არ გვიშველა...

**ოფიციალური სტატისტიკა საქვეყნო ტყუილის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახე რომაა, ეს ამბავი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ჰოდა, ამ „ქოსა-ტყუილას" თუ ვენდობით, შარშანდელი ინფლაცია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მხოლოდ 2 პროცენტი იყო, თუმცა კი, მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კატეგორიების, მათ შორის, სურსათისა და მთელი რიგი მედიკამენტის ფასი სულ მცირე, 15-20 პროცენტით გაიზარდა. მაშ, რას მოემატა ორი-სამი თეთრი, რომელსაც ბოლო წლებში მხოლოდ ცალკეულ აფთიაქებში ვხედავთ, დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ამდენად, რა გასაკვირია, პასუხი არც ჩვენ ვიცით. ერთი კი ნაღდია: ის სამათხოვრო ათი ლარი, რომელიც წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის შემქმნელმა „ყოჩაღმა ჩინოსნებმა" პენსიონერებს სექტემბრიდან „უწყალობეს" და რომლებიც მათ მთელი წლის და მეტის პენსიის ოდენობის „დანამატებს" ყოველთვიურად, თურმე, „საქმის კეთილსინდისიერი შესრულებაში" იღებენ, ახლანდელმა ლარის კურსის კლებამ და ინფლაციამ ერთად უკვე „ძვლებიანად დახრა ".**

თებერვლის მიწურულიდან დოლარის მიმართ ლარის უმნიშვნელო გამყარებამ მთავრობასაც და მოსახლეობასაც ერთგვარად შვებით ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მაგრამ ეს, არსებითად, ვერაფერი შველაა იმ ხალხისათვის, ვისი ხელფასიც, პენსიაც, შემწეობაც, დანაზოგიც 30 პროცენტით „შემსუბუქდა", „ხადურის" 6,6-პროცენტიან საპენსიო დანამატ „თუმანზე" ხომ ლაპარაკიც არ არის!

ლამის ოდნავი გამყარების კვალდაკვალ გაკეთებულ პირველ განცხადებებში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნები, ბიზნესმენები, ექსპერტები თითქმის ერთხმად აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში ფინანსური კრიზისის დაძლევის „პირველი მერცხალი" უკვე მოფრინდა და, თუკი ყველაფერი ამ გზით გაგრძელდა, მაისში ვითარება საფინანსო ბაზარზე, წესით და რიგით, უნდა დასტაბილურდეს.

სხვა საქმეა კომერციული ბანკების მოვალე პირთა მდგომარეობა, ვისაც სესხები დოლარებით აქვთ აღებული და ახლა ყოველთვიურად 25-30 პროცენტით მეტი თანხის გადახდა უწევთ. უნდა ითქვას, რომ, როგორც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ირაკლი ქადაგიძემ განაცხადა, კომერციულ ბანკებს ასეთ კლიენტებთან



განსაკუთრებულ რეჟიმში ინდივიდუალური მუშაობის რეკომენდაცია აქვთ მიცემული. ეს, ცხადია, თავისთავად მისასალმებელი გარემოებაა, მაგრამ რა შედეგს გამოიღებს ყოველივე კონკრეტულად, ამის დანამდვილებით თქმა არავის შეუძლია. ლარის გამყარების პროცესი რამდენ ხანს გაგრძელდება და რამდენად საგრძნობი იქნება მოსახლეობისთვის, არც ესაა ადვილი საპროგნოზო, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული გარეშე ფაქტორებზე, რომელთა შორისაა **უკრაინაში სამოქალაქო დაპირისპირება, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების შემცირება, მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობა, სამამულო წარმოების პროდუქციის მცირე კონკურენტუნარიანობა და, აქედან გამომდინარე, მზარდი უარყოფითი საგარეო-სავაჭრო სალდო და სხვ**. ყოველივე ეს ინფლაციასთან ერთად, სამომხმარებლო ბაზარზე ფასთა ზრდას იწვევს. თანაც, ჩვენში დამკვიდრებული უაღრესად მანკიერი პრაქტიკით, ფასების მომატების შემდეგ, მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაშიც კი, მათი ადეკვატურად შემცირება, ფაქტობრივად, არასოდეს არ ხდება ხოლმე. ამის მიზეზთა შორის კი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, პირველ რიგში, კარტელური გარიგებები, ასევე იმპორტული პროდუქციის რეალიზატორთა მიერ საქონლის საცალო ფასებში ეგრეთ წოდებული „უსაფრთხოების მარჟის" გაზრდა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობასა და ეკონომიკაზე ლარის გაუფასურება გაცილებით უფრო მტკივნეულად აისახება თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენსავით იმპორტზე დამოკიდებული მაინცდამაინც ბევრი ქვეყანა არ არის — ჩვენში ეს მაჩვენებელი შიდა ბაზარზე მოხმარებული საქონლის სამ მეოთხედს მნიშვნელოვნად სცილდება! **ეროვნული ვალუტის შესუსტება უფრო უმტკივნეულო დინამიურად განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებშია, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის დონის აწევასთან სინქრონულად ხდება — ეს პირველი პირობაა, ხოლო მეორე ის გახლავთ, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის საერთაშორისო სარეზერვო ვალუტასთან ვარდნას ხალხი ნაკლებად გრძნობს იმ შემთხვევაში, თუკი სამომხმარებლო კალათის პროდუქციის ნუსხაში ადგილობრივი და, ამდენად, უფრო იაფიანი, საქონელი ჭარბობს. ზოგადად კი, რაც უფრო მცირეა იმპორტ-ექსპორტის შეფარდების მაჩვენებელი, მით უფრო უმტკივნეულოა მოსახლეობისა და ეკონომიკისთვის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის კლება.**

ამიტომაც დიდად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ იმპორტის განვითარებაზე დღენიადაგ იზრუნოს, რაც, თავის მხრივ, საექსპორტო ნაკადის შემცირებას გამოიწვევს. ამის გაკეთება, ცხადია, ერთ თვეში შეუძლებელია, მაგრამ მუშაობა ამ მხრივ, რამდენადაც ცნობილია, საკმაო ხანია მიმდინარეობს, თუმცა კი, სასურველი შედეგის მიღებამდე ჯერ კიდევ შორსაა. ამის გაკეთება, ცხადია, მთავრობის ეკონომიკური გუნდის უწინარესი საქმეა — ქამრებიც უნდა მოიჭირონ, ფასების გაზრდაზეც უნდა იზრუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსიონერთა დიდი ნაწილი ფიზიკური დაუძლურებისა და შიმშილობის პირას აღმოჩნდება, თუმცა კი, ბევრი მათგანი უკვე დღესდღეობითაც უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. ნურც ადგილობრივი „სპეციფიკა" დაავიწყდებათ მთავრობაში, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა: ჩვენში ფასების მატებაზე, იცოცხლეთ, მარდად არიან, ხოლო რაც შეეხება კლებას, ამაზე ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაშიც კი, ნამეტნავად „გულმავიწყად" არიან.

**ოთარ ტურაბელიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო დაბეჯითებით მოითხოვს ნატოში შესვლის თავის უფლებას

**საქართველოში მწვავე რეაქცია გამოიწვია საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ამ ეტაპზე ნატოში შესვლის მსურველ ქვეყნებს უნდა ეთქვას უარი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლაზე.**

მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების" წარმომადგენლები და მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ საქართველო გააგრძელებს თავის სურვილის მტკიცებას, მიაღწიოს წევრობას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მაგრამ, ქვეყნის პოლიტიკურ კლასში უკვე არ არის ყოფილი ერთიანობა ამ ამბავთან დაკავშირებით: ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკური ავტორიტეტი და ავტორიტეტული პოლიტოლოგები მოგვიწოდებენ ნუ მივეცემით ილუზიას და თვალებში შევხედოთ სიმართლეს, ესე იგი გავითვალისწინოთ რეგიონალური და გლობალური რეალიები.



საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივანთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე იმის შესახებ, რომ ნატოს გაფართოება „ამჟამად აქტუალური არ არის", ქვეყნებს კი, რომლებიც ილვწიან ალიანსის წევრობისთვის, „უარი უნდა ვუთხრათ", თბილისში ემოციური რეაქცია გამოიწვია. საქართველოში ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდნენ საფრანგეთის პოზიციას, ახსოვდათ ის როლი, რომელიც პარიზმა შეასრულა „ხუთდღიანი ომის" დროს სამხრეთ ოსეთთან. ბევრი ქართველი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მაშინ სწორედ საფრანგეთმა გადაარჩინა საქართველო რუსეთის ჯარების სრული ოკუპაციისგან.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, გააგრძელოს კურსი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, იმედი აქვს, რომ როდისმე მომავალში საფრანგეთის და ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შეიცვლება. ამის შესახებ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა პარლამენტის წევრმა მმართველ კოალიციას „ქართული ოცნებიდან", საბჭოთა პერიოდის დისიდენტმა და საქართველოში ერთ-ერთმა ყველაზე თანმიმდევრულმა „ატლანტისტმა" ლევან ბერძენიშვილმა.

**ლევან ბერძენიშვილი:** მიუხედავად იმისა, რომ არის მკაცრი განცხადება, არსებითად, ახალი არაფერი თქმულა: ჩვენ ვიცით, რომ არიან ეგრეთ წოდებული „სკეპტიკოსები" ნატოს და ევროკავშირის გაფართოების საკითხთან დაკავშირებით. საფრანგეთი მათ განეკუთვნება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საფრანგეთი, ბატონი ოლანდის სახით, დღეს მზად არ არის მიიღოს გადაწყვეტილება. მაგრამ აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული: როდესაც დადგება ჩვენი საათი, — იგი კი აუცილებლად დადგება არც დღეს, არც ხვალ, მაგრამ თვალხილულ მომავალში, — ამ განცხადებას დაივიწყებენ.

საერთოდ, ნატოს კარი არ შეიძლება იყოს დაკეტილი არსებითად, ვინაიდან ნატო — ეს არის ღია ორგანიზაცია თავისი ფილოსოფიით. და არც ერთ ქვეყანას, ისეთ მნიშვნელოვანსაც კი, როგორიც საფრანგეთია, არ შეუძლია, გადაწყვიტოს ყველაფერი ყველას ნაცვლად.

ამ მომენტში, წელს, დღეს, ნატო არ არის მზად, მიიღოს ახალი წევრები. მაგრამ კანდიდატი ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, ხომ არ არის მზად ჯერ სრულფასოვანი წევრობისთვის. საერთოდ, ჩვენ ვემზადებით უფრო შორეული პერსპექტივისთვის. ამ თვალსაზრისით, განცხადება, რის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ, რასაკვირველია, არ არის სასიამოვნო ჩვენთვის, მაგრამ იგი არაფერს ცვლის პერსპექტივაში: საქართველო ძველებურად მიისწრაფვის ნატოსა და ევროკავშირისკენ. ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება, ეს არის ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება. ჩვენ სხვა გზა არ გაგვაჩნია.

**— ლევან, გვითხარით გეთაყვა, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რომ დაძლიოს „სკეპტიკოსების" ეჭვი?**

—სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენთან ყველაფერი წესრიგშია: თავდაცვის სფერო რეფორმირებულია ნატოს ნიმუშით და ჩვენ ვმონაწილეობთ მრავალ სამშვიდობო ოპერაციაში. თუმცა, არის სხვა ასპექტიც: ეკონომიკური თვალსაზრისით, აგრეთვე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებით, საქართველო მთლიანად არ შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. უნდა განვავითაროთ ქვეყანა და გვქონდეს უკეთესი ეკონომიკა. უკიდურეს შემთხვევაში, 4-5-ჯერ გავზარდოთ ეკონომიკური სიტუაცია და განვავითაროთ დემოკრატია! სხვა გზა არ არსებობს: დემოკრატია — ჩვენი რეზერვია.

დანარჩენში ყველაფერი ძველებურადაა: საგარეო-პოლიტიკურ კურსს ჩვენ არ ვცვლით, რუსეთისა და ევრაზიული კავშირისკენ ჩვენ არ წავალთ. ასე რომ, ჩვენ ჩვენს პრინციპებზე ვიქნებით: იყო ბუქარესტის სამიტი, რომლის დროსაც დაფიქსირდა, რომ საქართველო ოდესმე „აუცილებლად გახდება ნატოს წევრი". ეს ცარიელი სიტყვები როდი ყოფილა. თუმცა, მაშინ საფრანგეთს სხვა პრეზიდენტი ჰყავდა, მაგრამ ეს იყო ნატოს სამიტის საპასუხისმგებლო განცხადება. ასე რომ, ამ თვალსაზრისით ჩვენთან არაფერი არ იცვლება.

მას კატეგორიულად არ ეთანხმება საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე. მას მიაჩნია, რომ პოლიტიკოსებმა საქართველოში უარი უნდა თქვან ილუზიებზე, რომლებიც ქვეყანას მხოლოდ ახალ პრობლემებს უქმნიან.

**ნინო ბურჯანაძე:** ბატონმა ოლანდმა თქვა სიმართლე, რომელიც მე, მაგალითად, დიდი ხანია, ვიცი და ვეუბნები ჩემს თანამემამულეებს. პრინციპულად, ეს სიმართლე იციან სხვა პოლიტიკოსებმაც საქართველოში. მაგრამ მათ ურჩევნიათ, მოატყუონ ხალხი და ელაპარაკონ, რომ ჩვენ დღეს თუ არა, ხვალ მიგვიღებენ ნატოში. არადა ხომ სრულიად ნათელია, რომ როდესაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაქვს რუსეთის ორი სამხედრო ბაზა, ესე იგი გაქვს ორი გადაუჭრელი ტერიტორიული კონფლიქტი, საქართველოს არ გააჩნია შანსი შევიდეს ალიანსში, ვინაიდან ნატო არ იკისრებს ასეთ „თავის ტკივილს". ბუნებრივია, ეს განცხადება გაკეთდა მეტად მნიშვნელოვან დროს, მაგრამ უმჯობესია, ყოველთვის ილაპარაკო სიმართლე, რათა სახელმწიფოებმა თავიანთი პოლიტიკა ააგონ რეალურ საფუძვლებზე და არა ილუზიებზე. თუმცა, საქართველოში, სამწუხაროდ, როგორც მე მგონია, კვლავ ილუზიებით ცოცხლობენ, — აღნიშნა ქალბატონმა ბურჯანაძემ.

პირველად სურვილის შესახებ „დავუკაკუნოთ ნატოს კარს" განაცხადა პრეზიდენტმა შევარდნაძემ 2000 წელს. იმ დროის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ჩემთან საუბარში თქვა, რომ პრეზიდენტ ოლანდის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, საფრანგეთში სჭარბობს აზრი იმის აუცილებლობის შესახებ, რომ უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები.

ირაკლი მენაღარიშვილი: ამ განცხადების საძირკვლების ძებნა აუცილებელია დღევანდელი დღის იმ რეალიებში, რომელიც სამყაროს ჩვენს ნაწილში წარმოიქმნა. უწინარეს ყოვლისა, ეს არის რუსეთის მოქმედებები უკრაინაში და ევროპელების მცდელობა, მათ შორის, საფრანგეთის პრეზიდენტისაც, როგორმე გავხსნათ ეს კვანძი მოლაპარაკეთა გზით. როგორც ჩანს, საფრანგეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა მიეცა რუსეთისთვის გარკვეული გარანტიები, რომ უახლოეს პერიოდში, ყოველ შემთხვევაში, საგაისოდ დანიშნული ნატოს სამიტზე, საკითხი საქართველოს, უკრაინის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს შესვლის შესახებ, დღის წესრიგში არ იქნება.

სამწუხაროდ, ევროპაში ჯერ კიდევ არსებობს ილუზია, რომ ამგვარი გზავნილებით შეიძლება „კეთილი გავხადოთ რუსეთი". მაგრამ ჩვენ გვაქვს საკმარისი საფუძვლები, ეჭვი შევიტანოთ ასეთი მიდგომის სიმართლეში. და, რასაკვირველია, საქართველოს მხარე ყველაფერს გააკეთებს, რათა განუმარტოს თავისი პოზიცია ჩვენს ევროპელ კოლეგებს: ამგვარი განცხადებები მთელი რიგი ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდან, მათ შორის, ნატოს წევრების მხრიდან, პირველი არ არის. მას ახმიანებდნენ ადრეც. მხოლოდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რეალური შემეცნება ყოველივე იმისა, რაც ჩვენს გარშემო ხდება, ადრე თუ გვიან მოხდება და შეიცვლება იგი ამ ევროპულ დედაქალაქებშიც, — მიაჩნია საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს.

სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე დარწმუნებულია, რომ საქართველოს ნატოში შესვლის იდეა მართლაც არ არის აქტუალური, უკიდურეს შემთხვევაში, უახლოეს მომავალში.

**პეტრე მამრაძე:** უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს არაფერი ახალი არ უთქვამს. თანაც, საფრანგეთის, საფრანგეთის მთავრობის პოზიცია დროთა განმავლობაში არ იცვლება იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი პარტიები მოდის ხელისუფლებაში. შეგახსენებთ: ჯერ კიდევ 2008 წელს, ალიანსის ბუქარესტის სამიტის წინ, საფრანგეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ არ შეიძლება მიეცეს მაპი საქართველოს, ვინაიდან ეს მხოლოდ შეიტანს დაძაბულობას და გამოიწვევს დესტაბილიზაციას ევროპაში არსებულ გეოპოლიტიკურ თანასწორობაში. სწორედ ასეთმა პოზიციამ გაიმარჯვა შემდგომ ალიანსის ბუქარესტის სამიტზე. საფრანგეთის ხელისუფლებას ტრადიციულად აწონილ-დაწონილი მიდგომა აქვს ამ თემისადმი. ისინი ელოდებიან კონტრპროდუქტიულ ნაბიჯებს, ყოველთვის აანალიზებენ, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამა თუ იმ ნაბიჯმა. და სწორედ ამ თვალსაზრისით ფრანსუა ოლანდს პრაქტიკულად არაფერი ახალი არ უთქვამს.

**— ბატონო პეტრე, ბევრს თბილისში მიაჩნია, რომ საფრანგეთს მხედველობაში ჰყავდა სწორედ საქართველო. თქვენ ეთანხმებით ამ ინტერპრეტაციას?**

— თუ ყურადღებით გავუკეთებთ ანალიზს ფრანსუა ოლანდის გამონათქვამს იმ კონტექსტში, რომ მან იგი წარმოთქვა ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე, მაშინ, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე საფრანგეთი წინააღმდეგი იქნება საერთოდ ნატოს გაფართოებისა. ამის შესახებ საუბარი იყო ადრეც. მახსოვს, 2008 წელს ვსაუბრობდი ფრანგ დიპლომატებთან. ისინი მკაფიოდ მეუბნებოდნენ, რომ განსაკუთრებით იმ სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ, რომელიც მაშინ სააკაშვილმა მოაწყო თავის თანამოაზრეებთან ერთად, რამაც მკვეთრად შეცვალა ჩვენს რეგიონში უშიშროების მთელი სტრუქტურა, ისევე დასავლეთის დამოკიდებულება ჩვენი რეგიონისადმი, საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ საუბარი არც შეიძლება იყოს, მით უმეტეს, საქართველოს მიღების შესახებ ნატოში.

**— შეიძლება ვამტკიცოთ, ევროპის ისეთი გავლენიანი პოლიტიკოსის, როგორიცაა საფრანგეთის პრეზიდენტი, განცხადების შემდეგ, რომ საქართველოს შანსები ნატოში შესვლაზე უკვე ნულს უტოლდება?**

— ამ ისტორიულ ეტაპზე, ესე იგი, არცთუ შორეულ მომავალში, რომლის პროგნოზირებაც ასე თუ ისე შეიძლება, ეს შანსები მკაცრად ნულის ტოლია. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა არის ისტორია, ვიცით, რომ უეცრად, როდესაც ოდესღაც მომავალში, შეიძლება გაჩნდეს რაიმე „შესაძლებლობათა ფანჯარა" და ამ „ფანჯარაში" შეიძლება შეხტე. მაგრამ საუბარი დღეს ამის შესახებ, ამ ისტორიულ ეტაპზე უაზრობაა, ვინაიდან ეს შანსები ნულს უტოლდება.

სხვათა შორის, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი გვპირდება, რომ პრეზიდენტ ოლანდის განცხადების შემდეგ „საქართველო გასამმაგებული ძალით განახორციელებს რეფორმებს, რომლებიც აუცილებელია ნატოში შესვლისთვის".

rfi Русский

## დედამიწის ზურგზე



**თვითმფრინავი „სოლარ იმპულსი 2" მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წავიდა**

ეს თვითმფრინავი უნიკალურია იმით, რომ მზის ბატარეებზე მუშაობს. თავდაპირველად მანქანა ჩავა ომანში, შემდეგ ინდოეთში, იქიდან ჩინეთში. ამის შემდეგ თვითმფრინავი შეასრულებს გადაფრენას წყნარ ოკეანეზე. აპარატი რუსეთის ფედერაციის სივრცეზე არ გადაივლის, მოძრაობის დროს მარშრუტის მიხედვით მოხდება 12 დაჯდომა.

* * *

**მერკელმა აზრი გამოთქვა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შენარჩუნების შესახებ**



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვერ ხედავს მიზეზებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების გაუქმებისთვის. მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებს შორის სულ უფრო რთული გახდა მოიძებნოს კონსენსუსი რესტრიქტიული (ეს არის საწარმოების, გაყიდვებისა და ექსპორტის შეზღუდვა — რედ.) ზომების მხარდაჭერის შესახებ. ევროკავშირის ხელმძღვანელის სიტყვებით, ევროპული გაერთიანების სახელმწიფოთა ნაწილს მიაჩნია, რომ ზოგიერთი სანქცია რუსეთის წინააღმდეგ ძალიან შორს შედის.

* * *

**გაეროს გენერალური მდივანი აღშფოთდა ერაყის ჩრდილოეთში „ისლამური სახელმწიფოს" ბოევიკების მიერ ძველი ქალაქის დანგრევით**



პან გი მუნმა მოუწოდა „საერთაშორისო გაერთიანებას, რაც შეიძლება მალე დაუსვან წერტილი ამგვარ ტერორისტულ საქმიანობას, აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიონ კულტურულ ღირებულებათა საგნების კონტრაბანდას, როგორც ამას უშიშროების საბჭოს სათანადო რეზოლუციები მოითხოვენ.

* * *

**ფინეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა იდეას ევროკავშირის არმიის შექმნის შესახებ**

საული ნიინისტეს სიტყვებით, ასეთი არმიის შექმნა იქნებოდა სერიოზული და ბუნებრივი ნაბიჯი, რომლის მიზანიც იქნებოდა ევროკავშირის ღირებულებათა დაცვა. ევროკავშირის მთავარი ღირებულება მშვიდობაა, დაუმატა სახელმწიფოს მეთაურმა. ამ დროს ფინეთის თავდაცვის მინისტრმა კარლ ჰაგლუნდმა ივარაუდა, რომ ძნელად რომ ასევე მოიქცეს ყველა სახელმწიფო, რომელიც ევროკავშირში შედის.



# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის №1-1/58 ბრძანების საფუძველზე:**

2009 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება – საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა – პროექტი I (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 17 ნოემბრის №2087-II დადგენილებით). აღნიშნული პროექტი მოიცავს აჭარის ასაქცევი გზის მონაკვეთს, რომელიც შემოუვლის ქობულეთსა და ბათუმს.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, აჭარის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის – კმ12.4-კმ31.259 მონაკვეთისათვის დამუშავდა და აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB) დამტკიცდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP III) (გეგმა განახლებულია 2014 წლის ივნისში). განსახლების გეგმით გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 6 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/58 ბრძანება, რომლის თანახმად 6 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 27 თებერვალს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 20 მარტისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის №1-1/58 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

ბიჭიკო კონცელიძის (პ/ნ 61004046611) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.47.04.015, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2044 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 2044 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

იოსებ ქამაშიძის (პ/ნ 61004001254) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.39.04.168, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 456 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 456 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

იოსებ ქამაშიძის (პ/ნ 61004001254) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.39.04.167, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 3698 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი – 901 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა;

თემურ ქამაშაძის (პ/ნ 61004003525) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.39.04.060, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2519 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 2519 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა.

მერი თურმანიძის (პ/ნ 61004027343) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.47.01.100, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 880 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი – 283;

ფატი გოგიტიძის (პ/ნ 61005009506) საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით № 20.47.01.095, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 5587 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი – 2228 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა;

# განცხადება

**„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის №1–1/58 ბრძანების საფუძველზე:**

სამტრედია-გრიგოლეთი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით (კმ0–კმ11+500 მონაკვეთზე), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა განსახლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იქნა კომპენსაცია ყველა იმ უძრავი ქონების მესაკუთრეებისათვის ვინც მოექცა მშენებლობის პროექტის არეალში.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 2 მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/58 ბრძანება, რომლის თანახმად 6 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდ 2015 წლის 27 თებერვალს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 20 მარტისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 თებერვლის №1-1/58 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

გიორგი ახობაძის (პ/ნ 37001021194) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით №34.08.69.047, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2349 კვ.მ) პროექტისთვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი- 852 კვ.მ.

მიხეილ ახობაძის (პ/ნ 37001036544) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით №34.08.70.077, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 4671 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი – 3624 კვ.მ.

ალიან-ჩალიანი

## ბუტა რობაქიძის მკვლელობის ფაქტზე სასამართლო პროცესი განახლდა



**ბუტა რობაქიძის** დედა ია მეტრეველი შვილის მკვლელობისთვის გასამართლებულ პოლიციელ გიორგი ბაშალეიშვილს მიმართავს, ალაპარაკდეს.

როგორც ია მეტრეველმა საქალაქო სასამართლოში, დაზარალებულის სტატუსით დაკითხვისას განაცხადა, ბაშალეიშვილმა რამდენჯერმე მიუგზავნა პირები იმის სათქმელად, რომ ინანიებს რობაქიძისთვის ნასროლ ტყვიას. ია მეტრეველი კი აცხადებს, რომ თუკი მართლაც მონანიება სურს, ბაშალეიშვილმა გამოძიებას უნდა მისცეს ჩვენება, თუ რა მოხდა მკვლელობის ადგილას.

„მკვლელი ბაშალეიშვილი აღიარებს, რომ დამიზნებით ესროლა ბუტას. იმასაც ამბობს, რომ ეს იყო საპასუხო ქმედება. მის გასაგონად მინდა, ვთქვა, რომ ახლა აქვს შანსი, მოინანიოს. თუ უნდა, რომ უფალმა შეუნდოს, ახლა მაინც უნდა თქვას სიმართლე. იგი ბოლო პერიოდში მიგზავნიდა გარკვეულ პირებს. თუკი ინანიებს, ახლა აქვს შანსი, შეუმსუბუქდეს ცოდვა“, – განაცხადა ია მეტრეველმა.

ამასთან, მისი თქმით, საუბარი ჰქონდა კიდევ ერთ მოწმესთან, პოლიციელ გია სარიშვილთან, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ბუტას და მის მეგობრებს იარაღი ჩაუდეს. ია მეტრეველის თქმით, სარიშვილი მასთან მივიდა და უთხრა, რომ ინანიებს, რომ ეს აქამდე არ უთქვამს. ამასთან, ია მეტრეველის თქმით, ბუტა რობაქიძის მკვლელობაში პასუხისმგებლობა შს ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს ეკისრება.

„თუკი ვინმე მაღალჩინოსანი არსებობდა, შემთხვევის ადგილას ყველა იყო მისული, ოქრუაშვილის გარდა. ოქრუაშვილს იმაში ვადანაშაულებ, რომ თუკი იმ ღამეს რაც მოხდა, ეს არ იცოდა, მეორე დღეს ხომ გაიგო სიმართლე. ის იყო მინისტრი და მისი და სააკაშვილის პოლიტიკა იყო, პატრულის იმიჯი არ შელახულიყო“, – განაცხადა ია მეტრეველმა. ამასთან მისი თქმით, სცენარი რომელიც განხორციელდა ბუტა რობაქიძისა და მისი მეგობრების მიმართ, დაგეგმილი იყო შს სამინისტროს პრესსამსახურის მაშინდელი უფროსის გურამ დონაძის მხრიდან.

„ერთი წელი ბუტას მკვლელობის შემდეგ უგონოდ ვიყავი. პროცესებში კი ჩავერთე მას შემდეგ, რაც გირგვლიანი მოკლეს. ამ საქმეშიც ფიგურირებს გურამ დონაძე, რომელიც ჩემდა გასაოცრად დღემდე დაუსჯელია, ახლა კი ჟურნალისტებს ურეკავს და ეუბნება, თითქოს მე ჩემს ფონდში ხალხს 20 ლარს ვძალავ. ნაციონალებმა არა ერთხელ განახორციელეს ბოროტი სცენარი, 23 ნოემბერს მომიკლეს ხელაწეული ანგელოზივით ბავშვი“, – განაცხადა ია მეტრეველმა.

ია მეტრეველი შვილის, ბუტა რობაქიძის მკვლელობაზე პასუხისმგებლობას, პირველ რიგში, ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს აკისრებს. სასამართლოში რობაქიძის საქმეზე დაზარალებულის სტატუსით დაკითხვისას ია მეტრეველმა განაცხადა, რომ პოლიციელებს უსაზღვრო უფლებები სააკაშვილისა და ოქრუაშვილის მიერ გატარებული პოლიტიკის საფუძველზე ჰქონდათ.

## მკვლელობის კიდევ ერთი სავარაუდო მონაწილე

**როგორც** ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განაცხადა, გამოვლენილია კიდევ ერთი პირი, რომლის დნმ მკვლელობის ადგილზე აღებულ დნმ-ის ნიმუშს დაემთხვა. „ეს პირი სავარაუდოდ, უკვე დაკითხულია გამოძიების მიერ. თუმცა ამ მიმართულებით გამოძიება გრძელდება და უნდა დადგინდეს ამ კონკრეტული პირის შემხებლობა ან უარყოფა მკვლელობასთან“, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ იდენტიფიცირებული პირი პოლიციელია, აღნიშნულს ადვოკატი არ ადასტურებს.

„ვერ დაგიდასტურებთ, რომ ეს პირი პოლიციელია. ჩემთვის ეს ცნობილი არ არის“, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა. იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე უკვე დაკავებულია ერთი პირი – ყოფილი პოლიციელი გია სოსანაშვილი. გამოძიების ინფორმაციით, სოფელ ყარაფილაში, ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავიდან, სადაც იური ვაზაგაშვილი აფეთქების შედეგად გარდაიცვალა, სოსანაშვილის გარდა, სხვა პირთა დნმ-ს ნიმუშებია აღებული. გამოძიება კი, მუშაობს იდენტიფიცირებაზე.

ინტერპრესი

ჭიდაობა

# უფროსებმაც იყოჩაღეს და ჭაბუკებმაც



**28 ქვეყნის თავისუფალი სტილით მოჭიდავეები მონაწილეობდნენ მინსკში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის — ალექსანდრ მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში რევაზ მინდორაშვილის შეგირდებმა 5 მედალი მოიპოვეს: ტურნირის ჩემპიონი გახდა მძიმეწონოსანი დავით მოძმანაშვილი, მეორე იყო იაკობ მაქარაშვილი (74), ხოლო ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61), ომარ გუსოშვილი (97) და გიორგი საკანდელიძე (125) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.**

ტურნირზე ძალიან დამაჯერებლად იჭიდავა მოძმანაშვილმა: პირველ წრეში მან მონღოლი ჟარგალსაიხან ჩულუმბატი დაამარცხა, შემდეგ თანაგუნდელ გიორგი საკანდელიძეს სძლია, ნახევარფინალში რუსთა დაღესტნელ არსლანბეკ ალიევს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი მოძმანაშვილმა ბოლო წამებზე მოუგო უკრაინელთა ნატურალიზებულ ოს მოჭიდავეს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შარშანწინდელ ფინალისტ ალან ზასეევს - 4:2.

კარგად იჭიდავა მაქარაშვილმაც: ზედიზედ სძლია რუსეთის ნაკრების წევრებს - დაღესტნელ ხაბიბ ბატიროვსა (5:2) და ოს ბორის მაკოევს (6:0), შემდეგ ტაჯიკეთის სახელით მოჭიდავე გამიდ ჯალილოვი (8:6) და ბელარუსში გადასული რასულ ტიკაევი (6:0) დაჯაბნა, ფინალური პაექრობა ამერიკელთა მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონ ჯორდან ბაროუზთან დათმო.

უფროსთა პარალელურად მედვედის ტურნირი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორისაც ჩატარდა, სადაც ჩვენმა ბიჭებმა 11 მედალი მოიპოვეს: ჩემპიონები გახდნენ თორნიკე ქათამაძე (42), გიორგი ხაჩიძე (46), მამუკა ჩაჩუა (63) და ზურაბ ურთაშვილი (100). ვერცხლის მედლებს გოგა მამიაური (58), თორნიკე კვინიკაძე (63) და ივერიკო ჯულაყიძე (69) დაეუფლნენ, ხოლო ამირან ვახტანგიშვილი (50), თეიმურაზ ვანიშვილი (54), ალექსანდრე ლომიძე (58) და ივანე გოდელაშვილი (76) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: მარჯვნივ დავით მოძმანაშვილი.**

ძიუდო

# ანტალიიდან - უხვი ნადავლით




**წლის პირველ უცხოურ ტურნირში იჭიდავეს ქართველმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა — ანტალიაში ევროპის თასზე 10 მედალი მოიპოვეს, მათ შორის, თითო „ოქრო-ვერცხლი“ და 8 „ბრინჯაო“. 8-დან 2 მესამე ადგილი გოგოებს ერგოთ.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა რობინზონ ბეგლარაშვილი (60). მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა ელდარ ჯიქიძე (81), ხოლო ზურაბ კახნიაშვილმა (50), ბაგრატ ნინიაშვილმა (66), ლაშა დუდაშვილმა (73), ლუკა მაისურაძემ (81), ონისე სანებლიძემ, ავთანდილ ტაბატაძემ (ორივე — 90), ნინო მგელაძემ (52) და სოფიო სომხიშვილმა ((70) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საერთო გუნდურ ჩათვალში საქართველოს ნაკრები მეხუთე იყო, ბიჭები კი მხოლოდ რუსებს ჩამორჩნენ.

**თამაზ პატარაია**

ჩოგბურთი

# პრესტიჟზე ვინღა ფიქრობს



**შვეიცარიელთა ლიდერებმა — როჯერ ფედერერმა და სტანისლავ ვავრინკამ უარი თქვეს დევისის თასის მერვედფინალში ეროვნულ ნაკრებში თამაშზე და რაღა გასაკვირია, რომ ერთ-ერთი ფავორიტი გათამაშებას გამოეთიშა.**

სამაგიეროდ, კიდევ ერთხელ იპატრიოტეს სერბებმა, რომლებიც ნოვაკ ჯოკოვიჩის თავკაცობით სამაგალითოდ გაუსწორდნენ პრინციპულ მეტოქეებს — ხორვატებს — 5:0(!).

**ვიტალი ჯაფარიძე**

ტესტები

# ბაქოში - ოლიმპიურ სარბიელზე

**ევროპის პირველ ოლიმპიურ თამაშებამდე ამ შეჯიბრების მასპინძლები — აზერბაიჯანელები ბაქოში ახალ ბაზებზე საცდელ საერთაშორისო შეჯიბრებებს მართავენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. გასულ უქმეებზე ტანმოვარჯიშეებმა და ბატუტზე მხტომელებმა მოსინჯეს ძალები.** ქართველთაგან შესანიშნავად იასპარეზა მხატვრულმა ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავამ, რომელმაც თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რგოლით ვარჯიშში ის მცირედით ჩამორჩა რუს მსოფლიოს ჩემპიონ იანა კუდრიავცევას და მეორე ადგილი დაიკავა, მესამე იყო აზერბაიჯანელი მარინა დურუნდა. გურზებით ასპარეზობის შემდეგაც კვარცხლბეკზე ეს სამეული ავიდა, ოღონდ დურუნდა ამჯერად მეორე იყო, ფაჟავა ბრინჯაოს დასჯერდა. პირველობა აქაც კუდრიავცევას ერგო.




იყოჩაღეს ბატუტზე მხტომელებმა. სინქრონულ ხტომებში თამარ კაკაშვილმა და ნანა გოგაშვილმა მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო თენგიზ კოშკაძე და გიორგი ფუტკარაძე მესამე ადგილზე გავიდნენ.

**გივი გაგუა**

**სურათზე: მარცხიდან — სალომე ფაჟავა, იანა კუდრიავცევა და მარინა დურუნდა.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია**. „ნაპოლი“ — „ინტერი“ 2:2, „კიევო“ — „რომა“ 0:0, „მილანი“ — „ვერონა“ 2:2.

**ესპანეთი**. „ბარსელონა“ — „რაიო ვალეკანო“ 6:1, „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 1:1, „ბილბაო — „რეალი“1:0.

**გერმანია**. „ჰანოვერი“ — „ბაიერნი“ 1;3, „ჰამბურგი“ — „ბორუსია“ 0:0, „პადერბორნი“ — „ლევერკუზენი“ 0:3, „შალკე“ — „ჰოფენჰაიმი“ 3:1.



**ინგლისი. ასოციაციის თასი.** „ლივერპული“ — „ბლექბერნი“ 0:0. **პრემიერლიგა**. „ქპრ“ — „ტოტენჰემი“ 1:2.

**საფრანგეთი**. „მონპელიე“ — „ლიონი- 1:5, „პსჟ“ — „ლანსი“ 4:1, „ტულუზა“ — „მარსელი“ 1:6.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# რაპანელა - შვეიცარიელთა სიამაყე და თილისმა

**მსოფლიოში პრაქტიკულად არ დარჩა საფეხბურთო ნაკრები, რომელსაც თილისმად წოდებული ლამაზმანის იმიჯი არ ამშვენებდეს. ეს ტრადიცია ლათინურამერიკელმა ტურფებმა წამოიწყეს და ახლა მათ ევროპელმა მოდელებმაც მიბაძეს.**



შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების ქომაგად და საიმიჯო სახედ მიიჩნევა ჭეშმარიტად მშვენიერი და სულის სიღრმემდე ჩამწვდომი ამორძალი რაპანელა რიჩლერი, რომელიც ამ ქვეყანაში ცნობილი ფოტომოდელი გახლავთ და თავის საქმეში სახელი შორს აქვს გავარდნილი.

რაპანელა წარმოშობით შვეიცარიის ქალაქ ბაზელიდანაა და ადგილობრივ ქომაგებში პოპულარობა საფეხბურთო კლუბ „ბაზელის“ გულშემატკივრობით გაითქვა, ამის შემდეგ კი სრულიად შვეიცარიამ ეროვნული გუნდის თილისმად შერაცხა.

ბარაქალა შვეიცარიელთა გემოვნებას!

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ძვირფასი სილუეტები

# და-ძმობა მანჯგალაძეთა...

### ეროსი მანჯგალაძის დაბადების 90 წლისთავი

**ბავშვობის დროინდელი განუმეორებელი განცდა... სოფელს ბინდი ეპარება, საქონელი ფერდებამოვსებული, ნებიერი ბღავილით ბრუნდება სამწყესურიდან, შარვალდაკოტავებული ბიჭები, ფეხბურთის თამაში ეს-ესაა რომ დავამთავრეთ, ეზოში, კოინდარზე ვყრივართ და მოუთმენლად ველოდებით ნამდვილი ფეხბურთის დაწყებას. რამდენიმე წუთიც და რადიომიმღებიდან სანუკვარი მარშის ხმა ეფინება ეზო-ყურეს... და ეროსი მანჯგალაძე ომახიანად იწყებს: „ყურადღება, ლაპარაკობს თბილისი, ლაპარაკობს თბილისი, ჩვენი მიკროფონები თბილისის „დინამოს“ სტადიონზეა“... შემდეგ ეროსის ვბაძავდით, ხმას ვიბოხებდით, მისი რეპორტაჟის ზოგიერთ დეტალს ვიმეორებდით და თუ ზოგჯერ ეროსი მანჯგალაძეს არ მიჰყავდა ფეხბურთის რეპორტაჟი, გულდაწყვეტილი ვიყავით, რაღაც ეშხი და მარილი აკლდა გადაცემას.**

ჰოი, როგორ მინდოდა გამეცნო ეს ბუხუნა ხმის მქონე კაცი, რომლის ყოველი გამოსვლა რადიოთი ფეხბურთის რეპორტაჟების, რადიოსპექტაკლებისა თუ მხატვრული კითხვის დროს ერთიანად მიმაჟაჭვებდა ხოლმე რადიომიმღებთან. ვცდილობდი დამეჭირა ყოველი სიტყვა, ინტონაცია, ხან მჭექარე და ხანაც საოცრად დაბალი ტემბრი ხმისა. ბავშვობის დღეები კი მიჰქროდა და თანდათან მივხვდი, როგორ მომნუსხა ერთიანად ამ ხმამ, ეროსი მანჯგალაძის გავლენით, როგორ გახდა ჩემი ჰობი მხატვრული კითხვა...



თბილისში რომ ჩამოვედი, აქ გავიცანი „ცოცხალი ეროსი მანჯგალაძე“, ჯერ სპექტაკლებიდან, შემდეგ კი — პირადად — გაზეთ „კომუნისტიდან“ გამაგზავნეს მასთან სასაუბროდ. და, ბატონი ეროსიც მომიყვა, როგორ გახდა დიმიტრი ალექსიძისა და გიორგი ტოვსტონოგოვის მოწაფე, როგორ მოხვდა რუსთაველის თეატრში, როგორ მიიღო მონაწილეობა რადიოდიქტორების კონკურსში და გაიმარჯვა, რუსთაველის თეატრში მისმა თაობამ, როგორ გადასწია უკანა პლანზე გმირულ-რომანტიკული სტილი, რათა მიწა ეგრძნო ფეხქვეშ და რეალისტური მიმართულება გაეძლიერებინა...

საუბრისას ისიც მითხრა, თეატრის გარდა, როგორ უყვარდა ლიტერატურა, როგორ ჰგვრიდა განსაკუთრებულ სიამოვნებას ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონის ნაწარმოებების კითხვა... როგორ უყვარდა განსაკუთრებით თავისი უმცროსი დაიკო ბელა, და, რომ ერთადერთი, ის შერჩა მის ცხოვრებას.

...ეს საუბარი 40 წლის წინათ გვქონდა, ბატონი ეროსი უკვე ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობი იყო, ბევრი რამ იცოდა ეროსი მანჯგალაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ...

იმ საუბარმა დაგვამეგობრა, როგორც ტოლი-ტოლს, ისე მხვდებოდა. „ხომ ვართ მაგრად „ქვემოურები“ (ქვემოიმერლები)?“ — შემომბუხუნებდა შუბლგახსნილი.

...გული ჩასწყვიტა ყველას, შემოქმედებით ზენიტში მყოფი, შემქმნელი დაუვიწყარი სახეებისა სპექტაკლებში: „ჭინჭრაქა“, „ესპანელი მღვდელი“, „დიდი ხელმწიფე“, „გვადი ბიგვა“, „ოიდიპოს მეფე“, „ხანუმა“, „ჩვენი პატარა ქალაქი“ და ასე შემდეგ... უზადო შემსრულებელი კინოროლებისა ფილმებში: „წარსული ზაფხული“, „ლონდრე“, „ნატვრის ხე“, „თოჯინები იცინიან“, „ქვევრი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ვერის უბნის მელოდიები“... და სხვა, მოულოდნელად როგორ წავიდა ჩვენგან 57 წლის ასაკში... ბევრს ახსოვს გადაჭედილი რუსთაველის გამზირი ეროსი მანჯგალაძის დაკრძალვის დღეს... ოპერის თეატრიდან გამოსვენებული დიდი მსახიობი ხელით მიასვენეს დიდუბის პანთეონამდე.

...ამ დღეებში ეროსი მანჯგალაძე 90 წლისა შესრულდებოდა. რა შეიძლება ვთქვათ ამჯერად მასზე ისეთი, რაც ჩვენი მკითხველისთვის, შეიძლება სიახლე იყოს? მაგალითად, ხომ არ შევეხმიანოთ მის უსაყვარლეს დაიას, ქალბატონ ბელას? იგი ამჟამად ძალზე ხანმოთეულია, მაგრამ, იქნებ ტელეფონზე რამე-რუმეები ჩამაწერინოს?

მართლაც, ვრეკავ ვაკეში, ეროსი მანჯგალაძის ბინაში. ყმაწვილის ხმა მპასუხობს.

**— ვინ ბრძანდებით?**

— მე ეროსი ვარ!

გამაჟრიალა ტანში...

**— როგორ, ეროსი?!**

— კი, ბელა ბებოს შვილიშვილი — ეროსი ბალავაძე!..

**— ოოოო... იცოცხლე შვილო, გაგემართლებინოს ეროსი ბაბუს სახელი!..**

ეროსი მკარნახობს ქალბატონ ბელას ტელეფონის ნომერს, მეც ვრეკავ, ვეცნობი, ვთხოვ, ერთი-ორი სიტყვა მითხრას თავისი სახელოვანი ძმის შესახებ და ისიც იხსენებს ზოგიერთ ეპიზოდს.

* * *

— სამი დედმამიშვილი ვიყავით — რეზო გვყავდა უფროსი ძმა მე და ეროსის... ეროსი ჩემზე 4 წლით იყო უფროსი...

**— რა პროფესიის ბრძანდებით, ქალბატონო ბელა?**

— უნივერსიტეტი დავამთავრე, ფსიქოლოგი ვარ... ძალიან ტრავმირებული ოჯახი გვქონდა... ერთ წელიწადს მშობლებმა ბავშვები ბებიასთან ჩაგვიყვანეს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში... რაღაც ბედად, დედა მწიფე ბლის ხეზე ავიდა, ტოტი მოუტყდა, ჩამოვარდა, საშინლად დაიმტვრა და 26 წელი ლოგინში გაატარა... ულამაზესი რაჭველი ქალი იყო, დიდ პატივს სცემდა სამსახიობო ხელოვნებას და ეროსის სწორედ მან დააძალა, სამსახიობოზე ჩაბარება... უფროსი ძმა — რეზო 1940 წელს ჯარში გაიწვიეს, წავიდა და წავიდა... მამა ცნობილი ეკონომისტი იყო... მან გამოიარა პატიმრობა, 30-იანი წლები გაუხსენეს. მოკლედ, ასე ვიყავით — სევდიან-დარდიანები... ეროსი გვართობდა ცოტას... აღარ იცოდა, ჩემთვის როგორ ესიამოვნებინა... ძალიან მგრძნობიარე, თბილი გულის პატრონი იყო... უკვე მოგვიანებით, ცნობილი კაცი რომ გახდა, მოვიდოდა ჩვენთან ოჯახში და პირველად იმას იკითხავდა — ვინმე ჩვენიანს ხომ არაფერი უჭირსო, ერთი ბლოკნოტი ჰქონდა და მასში ინიშნავდა ჩემი ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, მეგობრებისთვის საკეთებელ საქმეს...

**— თქვენ ახსენეთ, დედამ ურჩია მსახიობობაო...**

— დიახ... თუმცა, თვითონ იძახდა, სამხედრო ექიმი უნდა გამოვიდეო. მეათე კლასში იყო, ჩვენ სკოლაში რუსთაველის თეატრის მსახიობებმა „რღვევა“ რომ დადგეს და ეროსის ხმა ისე მოეწონათ, ერთ-ერთი მთავარი როლი ათამაშეს. — ამ ხმის პატრონმა აუცილებლად თეატრალურზე უნდა ჩააბაროს და ნუ შეუშლით ხელსო, სთხოვეს მამას... მახსოვს, რადიოდიქტორების კონკურსი გამოცხადდა, დედამ სთხოვა ეროსის, რომ მიეღო კონკურსში მონაწილეობა. მანაც ოცდაათზე მეტ კონკურსანტს აჯობა და რადიოდიქტორი გახდა... ომის წლებში ის იყო ოჯახის მზრუნველი...

**— მეგობრები, მათთან დროსტარება უყვარდა, არა?**

— ძალიან... ვაკეში ყოველდღეს სავსე იყო მისი ბინა... დიასახლისი ხშირად მე ვიყავი... თვითონ ცოტ-ცოტას სვამდა... ახალგაზრდობაში კუჭი გაუსკდა, ბეწვზე გადარჩა... ჩემ შვილიშვილებს დაუტოვა ვაკეში თავისი ბინა... ეროსი და ირაკლი ბალავაძეები სტუდენტები არიან... კარგი ბიჭები...

**— თავად ვერ შექმნა ოჯახი...**

— ძალიან უყვარდა ლენა ყიფშიძე... გადავუხადეთ ქორწილი... სულ სამი თვე იცხოვრეს ერთად... დაცილდნენ რატომღაც... მერე აღარავინ შეურთავს... ძალიან გულნატკენი იყო...

**— საერთოდ, გულნატკენი წავიდა, ქალბატონო ბელა, არა?..**

— კი... თეატრში მოხდა რაღაც... უკვე ქვეყანამ იცის და აღარ გვინდა მასზე ლაპარაკი...

**— თქვენი ნებაა... რა თქმა უნდა, მისი ყველა როლი გეყვარებათ, მაგრამ თუ გამოარჩევთ მაინც რომელიმეს?**

— მართლაც ყველა როლი ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ გვადი ბიგვას მაინც გამოვარჩევ!..

**— დიდი მადლობა ქალბატონო ბელა... ბოდიშს გიხდით... დაგღალეთ...**

— მადლობა თქვენ, ჩემი ეროსი რომ გაიხსენეთ!

**— იცოცხლეთ!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## სანთელი

# მეგობრის ხსოვნას

სამწუხარო ამბავი მოვიდა აფხაზეთიდან — გალში 85 წლის ასაკში გარდაიცვალა **უჩა ერასტეს ძე ჩაკაბერია,** ძველი თაობის დამსახურებული ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრება მთლიანად მოახმარა საკუთარი რაიონის საერთო წარმატებებისათვის ზრუნვას, ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

უჩა ჩაკაბერია 1930 წელს დაიბადა სოციალისტური შრომის გმირის ერასტი ჩაკაბერიას ოჯახში, გალის რაიონის სოფელ ბარღებში, აქვე მიიღო საშუალო განათლება.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, წლების მანძილზე მუშაობდა მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში ინჟინრად, იყო ქალაქის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე საქმიანობდა მშობლიურ რაიონში, სადაც სხვადასხვა დროს ეკავა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი თანამდებობები. დიდია მისი წვლილი მეგობრობის მეციტრუსეობის საზოგადოებრივი მეურნეობის შრომითი კოლექტივის წარმატებებში, სადაც თითქმის 20 წლის მანძილზე დირექტორად მუშაობდა.

აფხაზეთში ცნობილი მოვლენების შემდეგ უ. ჩაკაბერია საკუთარ რაიონში დარჩა და ბოლო დრომდე რაიონის ვეტერანთა საბჭოში აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.

ცხოვრებიდან წავიდა ნათელი პიროვნება, წავიდა იმის ღრმა რწმენით, რომ მესამე ძალით ინსპირირებული ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მალე დამთავრდება და აღდგება ორ მოძმე ერს შორის თანაცხოვრების ათასწლოვანი ტრადიცია.

უჩა ერასტის ძე ჩაკაბერიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა და მასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა.

**მეგობრების ჯგუფი:**
**ვ. ყოლბაია, მ. გეგეჭკორი, თ. ჩაჩიბაია, გ. ძანძავა, ო. აკიშბაია, მ. ჭედია, მ. ზუხბაია, გ. პაპასკუა, გ. ხაინდრავა, მ. ყოლბაია, თ. ბასარია, ა. ბულისკერია, ნ. ბასლანძე.**

## ხსოვნა

# ჯემალ ენუქიძე



75 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ფარმაცევტული საზოგადოების ცნობილი მოღვაწე, ფარმაციის აკადემიური დოქტორი **ჯემალ ენუქიძე**. 1958 წელს ის ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრებისთანავე დაიწყო შრომითი საქმიანობა თბილისის ფარმაცევტულ ქარხანაში ცვლის უფროსად. შემდეგ გაიარა მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და განაგრძო მეცნიერული მოღვაწეობა ამავე ინსტიტუტის ფარმაკო-ბოტანიკის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად. თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი დაუკავშირა პრაქტიკულ საქმიანობას: სხვადასხვა დროს იყო თბილისის საქალაქო და ამიერკავკასიის რკინიგზის სააფთიაქო სამმართველოების უფროსი. ამ თანამდებობებზე მუშაობისას მან თავი გამოიჩინა, როგორც საქმის საუკეთესო ორგანიზატორმა.

პრაქტიკულ საქმიანობას იგი წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. მრავალმხრივი საქმიანობისა და დამსახურებისათვის სახელმწიფოს მიერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბედის უკუღმართობამ ჯემალ ენუქიძეს მრავალი გამოცდა მოუწყო — ჭაბუკობისას უდედმამოდ დატოვა, ხოლო გვიან სიცოცხლეს გამოასალმა მისი ორი შესანიშნავი ვაჟკაცი. მიუხედავად ასეთი მძიმე განსაცდელისა, იგი სულიერად არ გატეხილა და ბოლომდე მზრუნველობდა მეუღლესა და ობლად დარჩენილ შვილიშვილებს.

ჯემალ ენუქიძე, ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრებისადმი ზედმიწევნით გულისხმიერი, კეთილმოსურნე, ერთგული პიროვნება დააკლდა ყველას, ვისთანაც მას მცირე ურთიერთობაც კი ჰქონია.

**მეგობრები**

## ინფორმაცია

# ერთი კვირის განმავლობაში ცვალებადი ამინდებია მოსალოდნელი

**მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცვალებადი ამინდებია მოსალოდნელი. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, 10 მარტიდან 12 მარტამდე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდებია მოსალოდნელი. მისივე თქმით, 13 მარტიდან ამინდი შეიცვლება და დროგამოშვებით იწვიმებს.**

**დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა 21 გრადუსამდე გათბება, აღმოსავლეთში 8-13 გრადუსი იქნება, ხოლო თბილისში ნისლიანი ამინდი და 10 გრადუსი ტემპერატურა დაფიქსირდება. 11 მარტს დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა 27 გრადუსი იქნება, აღმოსავლეთ საქართველოში კი — 12-17 გრადუსი. 13 მარტიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი.**

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი, მეცნიერი და პრაქტიკული ფარმაციის ორგანიზატორი, ფარმაციის აკადემიური დოქტორი

**ჯემალ ენუქიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
29 9-62-77; 568 82-09-84.

◉ აიწონა-დაიწონა

# თაგვმა თხარა, თხარაო...

**საბერძნეთის ახალი პრემიერ-მინისტრის ალექსის ციპრასის გზას, რომელიც უკვე რახანია მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მიერ საბერძნეთის ოკუპაციის შედეგად ქვეყნისთვის მიყენებული ზარალისთვის მიღებულ ანაზღაურებას არასაკმარისად მიიჩნევს და მილიარდობით ევროს გადახდას მოითხოვს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროც დაადგა. გავრცელებული ინფორმაციით, დეპუტატებს, სსრ კავშირის მეორე მსოფლიო ომის დროს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, გერმანიისგან 3-4 ტრილიონი ევროს(!) მიღება უნდათ.**

ბუნებრივია, რომ ომის დროს საბჭოთა კავშირს, რომლის კანონმემკვიდრე რუსეთია, გაცილებით მეტი ზარალი მიადგა, ვიდრე გერმანიამ რეპარაციით აანაზღაურა. გერმანელ ფაშისტთა მიერ **საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის დამდგენი რუსეთის საგანგებო სახელმწიფო კომისიის შეფასებით, მისი ოდენობა 128 მილიარდი დოლარია ომისშემდეგდროინდელი კურსით.**

2000 წელს გერმანელმა ექსპერტებმა ის ზარალი შეაფასეს, რომელიც ქვეყანას მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, 1953 წლამდე მიადგა, როცა რეპარაციების ანგარიშში მატერიალურ ფასეულობათა ამოღება დასრულდა. **მიღებულმა თანხამ, მაშინდელი კურსით, 15,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. სათვალავში იყო 2885 ქარხნის, 96 ელექტროსადგურის აღჭურვილობა, 340 ათასი დაზგა, 200 ათასი ელექტროძრავა, 1,3 მილიონი სული საქონელი, 2,3 მილიონი ტონა მარცვლეული, 20 მილიონი ლიტრი სპირტი, 16 ტონა თამბაქო. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა გერმანიიდან გაიტანა საზღვაო და სამდინარო გემები, სატელეფონო სადგურები, ბერლინის მეტროს ვაგონები, რომლებითაც მოსკოვის მეტროს მგზავრები 1960-იან წლებამდე გადაჰყავდა, ბევრი სხვა რამ, მათ შორის, უთვალავი სხვადასხვა სახეობის მხატვრული ფასეულობა.**

ამ გაანგარიშებებიდან გამომდინარე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები თვლიან, რომ რეპარაციების საბოლოო დაჯამებით ირკვევა, რომ ბალანსი აშკარად გერმანიის სასარგებლოდაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, ფაქტობრივად, საყოველთაო აზრით, საბოლოო ანგარიშით, **კაცობრიობის ისტორიაში ომის შედეგად მიყენებული ზარალის მეტ-ნაკლებად სრულად ანაზღაურება ჯერჯერობით ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო.** რეპარაციული გადასახადების სრულად დაფარვის მცდელობამ, რომელიც გერმანიამ ანტანტის ქვეყნებს პირველი მსოფლიო ომის შედეგად მიაყენა, ამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ნაცისტები მიიყვანა, რამაც დიდად განაპირობა მეორე მსოფლიო ომის დაწყება.



აქედან გამომდინარე, რუსეთელ ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ამ მოთხოვნამ შესაძლოა სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღოს. საქმე ისაა, რომ **გერმანია რუსეთს მაინც არაფერს არ გადაუხდის, ხოლო ძველი წყენები, შესაძლოა, სხვებმა გაიხსენონ. მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა — ესტონეთმა, ლიტვამ და ლატვიამ. რუსეთს შეიძლება, „ანგარიში წარუდგინონ“ 1939 წელს მათი სსრ კავშირთან „ნებაყოფლობით მიერთების“ გამო. ფინეთმა შეიძლება, გაიხსენოს საბჭოთა კავშირის მიერ მიტაცებული მიწები, კერძოდ, კარელია, ირანმა კი 1941-46 წლებში თავისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია და ა. შ.**

ამის გათვალისწინებით ბევრს მიაჩნია, რომ წარსულის ქექვას რუსეთისთვის შესაძლოა, მეტად არასასიამოვნო ამბები მოყვეს — ხომ ნათქვამია, თაგვმა თხარა, თხარაო...

**ნინო ალექსანდრია**

◉ ჩვენი კარაბადინი

## ნუ ზიხარ!



**დღეში 8 საათზე მეტი ხნის ჯდომა ზრდის დიაბეტის, სიმსუქნის, კიბოს და გულთან დაკავშირებული პრობლემების განვითარების რისკს, მიაჩნიათ კანადელ მეცნიერებს.** მათ შეადარეს ჩრდილოამერიკელთა ცხოვრების წესის 47 გამოკვლევის მონაცემები და აღმოაჩინეს, რომ ისინი, ვინც მთელ დღეს ჯდომაში ატარებდნენ, 14 პროცენტით უფრო ხშირად მიჰყავდათ საავადმყოფოებში, თუმცა, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების უმრავლესობა შეიძლებოდა, თავიდან აგვეცილებინა, თუ ცხოვრების წესს შევცვლიდით. ავტორები გვირჩევენ შევამციროთ დრო, რომელსაც ჯდომაში ვატარებთ, დღეში 4-5 საათამდე, ხოლო, თუ თქვენ ზიხართ უფრო დიდხანს, დრო და დრო მოიწყვეთ „ფიზკულტურის წუთები“. უყურეთ ტელევიზორს ფეხზე მდგომმა ან პარალელურად მოიწყვეთ მარტივი ფიზიკური ვარჯიშები.

## დასნებოვნების მარკერი

**ვიჩ-ინფიცირებულებს დაქვეითებული აქვთ უნარი, ისმინონ მაღალი და დაბალი ხმები, ამბობენ ვირუსოლოგები სან-დიეგოს უნივერსიტეტიდან.** მათ შეაფასეს, თუ როგორ ესმით სხვადასხვა სიმაღლის ხმები 262 მამაკაცსა და 134 ქალს. მათ შორის, მამაკაცების თითქმის ნახევარი (117) და პრაქტიკულად ყველა ქალი იყო ვიჩ-ინფიცირებული. აღმოჩნდა, რომ ვიჩის მატარებელ ორივე სქესს ამოსაცნობი ხმების სიმაღლის დიაპაზონი აქვთ ნაკლები, ვიდრე ჯანსაღ თანატოლებს. მათ ძალიან მაღალი და ძალიან დაბალი ხმები არ ესმით.

## გამოსავალი მოქნილი გრაფიკია

**მოქნილი სამუშაო გრაფიკი — ძილის უკმარისობისგან გადარჩენაა, გვარწმუნებენ ამერიკელი მეცნიერები. მძიმე გრაფიკი იწვევს გამოუძინებლობის, დაღლილობის, ყურადღების კონცენტრაციისა და ინფორმაციის დამუშავების სიჩქარის პროვოცირებას. იგი ხელს გვიშლის, მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება. მაგალითად, ადამიანს არ შეუძლია გაითვალისწინოს რისკები, როდესაც აქცენტს მხოლოდ მოგებაზე აკეთებს.**

მეცნიერებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ, თუ როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ გარემო. მათ მოხალისეთა ერთ ჯგუფს შესთავაზეს მუშაობის მოქნილი გრაფიკი. მუშაკებს შეეძლოთ თავად გადაეწყვიტათ, თუ როდის და სად ემუშავათ. მეორე ჯგუფი მუშაობდა ოფისში, როგორც ჩვეულებრივად. ამ დროს გამოკვლევის ყველა მონაწილე შრომობდა საათების ერთი და იგივე ოდენობით.

თავდაპირველად 6 თვის შემდეგ, შემდეგ კი ერთი წლის შემდეგ მეცნიერებმა გამოიკვლიეს მოხალისეები. აღმოჩნდა, რომ ძილის რეჟიმი პირველ ჯგუფს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდა. ადამიანებს პირველი ჯგუფიდან ყოველ ღამით საშუალოდ 8 წუთით მეტი ეძინათ. ეს შეადგენდა თითქმის 30 დამატებით წუთს კვირაში. თითქოს ბევრი არაა, მაგრამ გავლენა ჯანმრთელობაზე იყო გასაოცარი.

## არ დაუჯერო საკუთარ თვალებს

**შეიძლება, ვენდოთ რჩევებს, მედიცინის შესახებ ტელეშოუებში რომ გაისმის? ასეთი საკითხი დასვეს კანადელმა მეცნიერებმა.** მათ ალალბედზე აიღეს 40-40 სიუჟეტი ორი სამედიცინო ტელეშოუდან და ყველა სამედიცინო რეკომენდაცია, რომლებიც აღწერილია ამ სიუჟეტებში, შეადარეს რეალურ რეკომენდაციებს მკურნალობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ერთი ტელეშოუს რჩევების მხოლოდ 46 პროცენტს და მეორის 69 პროცენტს ჰქონდათ სამეცნიერო დასაბუთება. ასე რომ, დავუსვათ საკუთარ თავს დიაგნოზი და დავუნიშნოთ მკურნალობა ტელეეკრანიდან მიღებული ცნობების შესაბამისად, არ ღირს.

## მშობლიური ხმა



**ხმები მახლობლებისა, რომლებიც ნაცნობ ისტორიებს გვიყვებიან, აფხიზლებს ტვინს, უგრძნობელ მდგომარეობაში რომაა, და აჩქარებს მის აღდგენას, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები.**

კალიფორნიის ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი გოდფრი კატანუსი სამი თვის განმავლობაში კომაში იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ცოლი მას ნაცნობ ისტორიებს უამბობდა. სპეციალისტები კი თვალყურს ადევნებდნენ პაციენტის ტვინის აქტიურობას და ხედავდნენ, თუ როგორ იზრდებოდა პაციენტის ნეირონული აქტიურობა. მშობლიური ხმის შესრულებით ისტორიების მოსმენის ექვსი კვირის შემდეგ პაციენტის ტვინმა სხვა ხმებზეც დაიწყო რეაგირება.

მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ეს ექსპერიმენტი დაეხმარება მათ დაამუშაონ კომაში მყოფი პაციენტების მკურნალობის ახალი მეთოდები.

◉ კადრი



◉ ცინცხალი ანეკდოტები

— **გათავისუფლებული** ხართ სამსახურიდან სისტემატური გაცდენებისთვის.
— ჰო, ხანდახან რომ გამეცდინა, დამტოვებდით, არა?

* * *

**როგორღაც** ვბრუნდები კორპორატიული წვეულებიდან... უცებ უკნიდან მესმის შეძახილი: „სდექ!“ „სდექ“.
— მერე შეჩერდი?
— როგორღა შევჩერდებოდი, როცა ძლივს მივხოხავდი?!

* * *

— **მინდა**, რომ ჩემმა ცოლმა მიღალატოს, — ეუბნება ერთი ვირი მეორეს.
— რას ამბობ! რატომ?
— მაშინ კეთილშობილურ ირემს დავემსგავსებოდი...



* * *

— **ვერკვევი** კინოში, ფერწერაში, ლიტერატურაში.
— მართლა? შესანიშნავია! აბა, როგორ მოგეწონათ ბოლო ფილმი?
— ხომ გითხარით, ჯერ ვერკვევი-მეთქი.

* * *

**კბილის** ექიმთან შიშისგან აცახცახებული პაციენტი შედის.
— კბილის ამოღება მოგვიწევს, — ეუბნება ექიმი გასინჯვის შემდეგ.
ავადმყოფი უფრო ძლიერ აკანკალდა.
ექიმს შეეცოდა და სირჩა არაყი დაალევინა, სიმხნევეს შეგმატებთო.
პაციენტმა დალია, მაგრამ კანკალი არ მიუტოვებია. ექიმმა მეორეც დაუსხა, მესამეც, მეოთხეც...
როდესაც შენიშნა, რომ პაციენტი უკვე აღარ კანკალებდა, ექიმმა ჰკითხა:
— აბა, როგორა ხართ, გამხნევდით?
— გავმხნევდი რომელია! აბა, ერთი ვინმემ გაბედოს ჩემი კბილისთვის ხელის ხლება!..

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24